

1998

172




საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

მ ა ს ბ ნ ე

PROCEEDINGS

ИЗВЕСТИЯ

აქონობის სერია  
ECONOMIC SERIES  
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი  
VOLUME  
TOM

6

1998

N 3

თბილისი • TBILISI • ТБИЛИСИ

## სარედაქციო კოლეგია

ვ. შაპავა (მთავარი რედაქტორი), ვ. ადვადე, ვ. ადეიშვილი, თ. ბერიძე, ზ. გიორგაძე,  
ა. კურატაშვილი, ი. მესხია, რ. შითაიშვილი, ნ. პაიჭაძე, ა. ხილაგაძე, თ. წიკვიძე, ღ.  
წიკვაძე, ვ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), შ. ჯიბუტი  
პასუხისმგებელი მდივანი ა. დემირხანოვა

## EDITORIAL BOARD

V.Papava (Editor-in-Chief), V.Advazde, G.Adeishvili, T.Beridze, L.Chikava,  
T.Chikvaidze, M.Djibouti, H.Giorgadze, A.Kuratashvili, Y.Meskhia,  
R.Mitaishvili, N.Paichadze, A.Silagadze, G.Tsereteli (Deputy Editor-in-Chief)  
Executive Secretary L.Demirkhanova

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В.Г.Папавა (главный редактор), В.С.Адвადзе, Г.Г.Адеишвили,  
Т.А.Беридзе, Г.Г.Гиоргадзе, М.Ч.Джибути, А.А.Кураташвили, Я.Е.Месхия,  
Р.Л.Митაишвили, Н.Н.Пайчадзе, А.Н.Силагадзе, Г.Ш.Церетели (зам. глав-  
ного редактора), Л.Л.Чикава, Т.Н.Чикваидзе  
Ответственный секретарь И.С.Демирханова

---

380007, თბილისი, კიკოდის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი  
ტელ. 99-68-53, 99-07-02, ფაქსი: 99-83-89

P.Gugushvili Institute  
of Economics, The Georgian  
Academy of Sciences,  
14, Kikodze street,  
Tbilisi, 380007,  
Georgia  
tel: (8832)996-853,(8832)990-702  
Fax: (8832)998-389

Грузия  
380007, Тбилиси,  
ул.Кикодзе, 14  
Институт Экономики  
им. П. Гугушвили АН Грузии  
тел: (8832) 99-68-53, (8832) 99-07-02  
факс: (8832) 99-83-89

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა ა ბ ბ ე

PROCEEDINGS

ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 6, N 3  
VOLUME 6, N 3  
ТОМ 6, N 3

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში  
The journal is established in October, 1992  
Журнал основан в октябре 1992 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ  
The journal is published 4 times a year  
Выходит 4 раза в год

თბილისი "მეცნიერება"  
TBILISI "METSNIEREBA"  
ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕБА"  
1998

**შინაარსი**

წერეთელი გიორგი, ბურდული ვახტანგი საბადასახადო რეგულირების გზები საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე . . . . .	47
აბესაძე რამაზი ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების და მისი სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში . . . . .	65
მესხია იაკობი საქართველოს ფულადი პოლიტიკის და საბანკო სექტორის ტრანსფორმაციის პრობლემები . . . . .	72
ბურდული ვახტანგი, წერეთელი გიორგი ფულად-საკრედიტო რეგულირების გზები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში . . . . .	86
წესები ავტორთათვის . . . . .	105

**CONTENTS**

Tsereteli George, Burduli Vakhtang The Ways of Tax Regulation on Contemporary Stage of the Georgia Economic Development . . . . .	47
Abesadze Ramaz Problems Concerning Power Market Formation and its Regulation by the State in Georgia . . . . .	65
Meskhia Jacob Monetary Policy and Problems Related to Restructuring of the Banking System of Georgia . . . . .	72
Burduli Vakhtang, Tsereteli George The Ways of Monetary Regulation of Georgia in Transition Period to Market Economy . . . . .	86
Instruction to Authors . . . . .	105

**СОДЕРЖАНИЕ**

Церетели Георгий, Бурдули Вахтанг Пути налогового регулирования на современном этапе экономического развития Грузии . . . . .	47
Абесадзе Рамаз Проблемы формирования энергетического рынка и его государственного регулирования в Грузии . . . . .	65
Месхия Яков Проблемы трансформации денежной политики и банковской системы Грузии . . . . .	72
Бурдули Вахтанг, Церетели Георгий Пути денежно-кредитного регулирования в Грузии в переходной на рыночную экономику период . . . . .	86
Правила для авторов . . . . .	105

# საგადასახადო რეგულირების გზები საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე

წერეთელი გიორგი, ბურღული ვახტანგი  
380007, თბილისი, ქიქოძის 14

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი

შემოვიდა 1997 წლის 5 ოქტომბერს

21160

რეზიუმე. განხილულია საგადასახადო სისტემის ძირითადი მიზნები და ამოცანები საქართველოში გარდამავალ პერიოდში. გაანალიზებულია საგადასახადო სისტემის სტრუქტურა, მისი ფუნქციები, საგადასახადო-საბიუჯეტო სფეროში ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის (განაწილების) ხერხები. შესწავლილია განვითარებულ ქვეყნებში არსებული ზოგიერთი გადასახადის ბუნება, დასაბუთებულია მათი გამოყენების ეფექტიანობა და შემოთავაზებულია მათი გამოყენების ხერხები ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში. სტატიაში აგრეთვე განხილულია სხვადასხვა გადასახადებით დაბეჯვრის მიზანშეწონილი დონეები და გადასახადების სხვადასხვა სახეობებს შორის რაციონალური თანაფარდობის დადგენის საკითხები, საგადასახადო შედეგაობების და სანქციების გამოყენების გზები. მასში ნაჩვენებია და დასაბუთებულია, რომ გარდამავალი პერიოდის პირობებში საგადასახადო რეგულირება თანამიმდევრულად მიმართული უნდა იყოს მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტიურობის და გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ზრდაზე, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის უზრუნველყოფაზე, პრიორიტეტული დარგების და ექსპორტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობაზე, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების საკმარისი ნაირსახეობისა და ძირითადი მოსაკრებლების (მოგების, დამატებული ღირებულების, საშემოსავლო და ქონების გადასახადების) რაციონალური დიფერენციაციის უზრუნველყოფა, საგადასახადო შედეგაობების (მათ შორის ინვესტიციური და ინოვაციური საგადასახადო კრედიტის) და სანქციების სელექტური სისტემის შემოღება. ნაჩვენებია, რომ გადასახადების მიზანშეწონილი დონის დადგენისას საჭიროა ორიენტაცია ადრეულ იქნეს განვითარებულ ქვეყნებში მიღებულ სტანდარტებზე და ძირითად გადასახადებს შორის თანაფარდობა დადგინდეს მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად. ამასთან, დასაბუთებულია, რომ საჭიროა არაპირდაპირი გადასახადების წილის თანდათანობითი გაზრდა, საქონლის ჯგუფების კრილში მათი დიფერენციაციის გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს მოხმარებას და დაზოგვას შორის საჭირო პროპორციების და მიზანშეწონილი საქმიანი აქტიურობის უზრუნველყოფას.

\*\*\*

XX საუკუნის სამოციან წლებში ცნობილმა ამერიკელმა ფუტუროლოგებმა ჯონ ნემიტმა და პატრიცია ებურდინმა განსაზღვრეს ოთხმოციანი წლები როგორც ცივი ომების ათწლეული. ოთხმოცდაათიანი წლები კი მათ იწინასწარმეტყველეს როგორც საგადასახადო ომების ათწლეული [12, გვ.29]. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგნოზში, ჩვენი აზრით, დაშვებულია მეტნაკლები გაზვიადება, ნამდვილად უნდა ვეღიაროთ, რომ საგადასახადო სისტემები თამაშობენ სულ უფრო მნიშვნე-

ელოვან როლს კონკურენტულ ეკონომიკურ შეჭიბვებებში როგორც სახელმწიფოებს შორის, ასევე სახელმწიფოების შიგნითაც. სახელმწიფოს გონივრული საგადასახადო პოლიტიკა ბევრად განსაზღვრავს მის წარმატებებს როგორც თვით სახელმწიფოს ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზეც, ასტიმულირებს ქვეყანაში საქმიანობის პრიორიტეტული სახეობების განვითარებას, ყველაზე მიზანშეწონილი — სამაშულო და უცხოეთში ინვესტიციების სამეურნეო სფეროებში განათავსებას, საქონლის, მომსახურეობისა და გონივრულ ზომებში კაპიტალის ექსპორტს და ა. შ.

გადასახადები, წარმოადგენენ რა სამეურნეო საქმიანობის რეგულირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, სასურველ შედეგს იძლევიან მხოლოდ განსაზღვრული პირობების დაცვისას. ამ მხრივ, ძირითად პირობას წარმოადგენს სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის რეალიზაციის ქმედითი მექანიზმის არსებობა. მაგალითად, საგადასახადო, გადასახადების დიფერენცირებული განაკვეთები, საგადასახადო შედეგაობები და სანქციები მოსალოდნელ შედეგს იძლევიან მხოლოდ მაშინ, როდესაც უზრუნველყოფილია გადასახადების აკრეფის სწორი და მკვეთრი მექანიზმი. მაგრამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კი შეუძლებელია გადასახადების სათანადოდ და სრული მოცულობით აღრიცხვა, აგრეთვე მათი თავისუფალი აკრეფა, მაშინ ვერცერთი დიფერენცირებული განაკვეთი, შედავათი და სანქცია ვერ მოახდენს ვერავითარ რეგულირებად ზეგავლენას სამეურნეო საქმიანობაზე.

მაშასადამე, იმისათვის, რომ გადასახადებმა შეასრულონ რეგულატორის როლი და სათანადო დონეზე მოხდეს მათი ფისკალური ფუნქციის ამოქმედება, საჭიროა სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის რეალიზაციის გზების მკვეთრი გაუმჯობესება.

ვერ შეასრულებს მარეგულირებელ როლს, აგრეთვე, მეტისმეტად მარტივი საგადასახადო სისტემა. ცივილიზებული ქვეყნების მსოფლიო პრაქტიკა გეჩვენებს, რომ გადასახადების რაოდენობა აღწებს რამდენიმე ათეულს (მათი განაკვეთების დიფერენციაციის, შედეგაობების და სანქციების ჩუთვლეულად). აზიის და აფრიკის ბევრ ქვეყანაში, სადაც საგადასახადო სისტემა მეტისმეტად მარტივია, ეკონომიკური საქმიანობა უხეიროდ მიდის, ხოლო იმ ქვეყნებში კი სადაც საგადასახადო სისტემა მკვეთრი და მიზანმიმართულია და საიმედოდ მუშაობს, ადგილი აქვს შემსამრნვე ეკონომიკურ ზრდას (სამხრეთი კორეა, სინგაპური, ტაილანდი და სხვა). ამიტომ საყენებთ მართალია, რომ რაც უფრო მარტივია საგადასახადო სისტემა, მით უფრო უხეშია და ნაკლებად საიმედოა იგი, რადგანაც შეფერხებამ ერთ-ორი გადასახადის მიხედვით შეიძლება შექმნას სინდრომები ბიუჯეტისათვის. იმისათვის, რომ მეურნეობის პოტენციური საგადასახადო ბაზა სრულად იყოს გამოყენებული, საჭიროა გადასახადების განსწოებული სისტემა, რომელიც მოიცავს ბევრ სხვადასხვანაირ გადასახადს ... გადასახადების დიდი რაოდენობა არ გამოიწვევს მძიმე საგადასახადო დატვირთვას, რადგანაც შეიძლება ამ საკითხის გონივრული მოგვარება (ე.ი. რეგულირება) [6, გვ.46].

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს სხვადასხვა ცივილიზებულ ქვეყანაში გადასახადებით დაბეგვრის სისტემები აგებულია შემდეგი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით: საგადასახადო სისტემა მიზნად უნდა ისახავდეს დაბეგვრის ისეთი მინიმალურად შესაძლებელი დონის დაცვას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის წინსვლითი განვითარების სტიმულირებას. საგადასახადო სისტემაში ხელ უნდა შეუწყოს ეკონომიკაში საჭირო სტრუქტურული ძვრების პოლიტიკის გატარებას, ხელაყრელი პირობების შექმნას მიზანშეწონილი საქმიანი აქტიურობის სტიმულირებისათვის და სტრუქტურულ-აღწარმოებითი წონასწორობის დაცვას. საგადასახადო პოლიტიკამ უნდა წაახალისოს თავისუფალი კონკურენციის განვითარება, მოახდინოს ადეკვატური რეაგირება შექმნილ ეკონომიკურ კონტენტურაზე. მას უნდა ჰქონდეს მოძრაობისა და მგრძობიარობის უნარი შემოსავლების და დასაბ-

ეგრი ობიექტების ფორმირების მიმართ. მან უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა შემოსავლების ყველაზე სამართლიანი გადანაწილება, ეს უნდა ჰქონდეს შეგუების უნარი საზოგადოების განვითარების ეკონომიკური და სოციალურ მთხოვნები, ცვლილებათა მიმართ. მან უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა შემოსავლების ყველაზე სამართლიანი გადანაწილება. იგი მუდმივად უნდა ინარჩუნებდეს ანტიინფლაციურ მიმართულებას. ამისათვის კი საჭიროა; რომ მან უზრუნველყოს გადასახადების და განაკვეთების ელასტიკურობა ფულადი ბრუნვის მდგომარეობის შესაბამისად. გადასახადების აკრეფის წესებში გათვალისწინებულ უნდა იყოს გადასახადების კერძო ცხოვრებაში ჩარევის მინიმალური პრინციპი. გადასახადებმა საგრძნობი გავლენა უნდა მოახდინოს მომხმარებლების ეკონომიკური ქცევის მოტივებზე. გარდა ამისა, საგადასახადო პოლიტიკის გატარებისა და გადასახადებით დაბეგრის სისტემაში ჩაღებულ უნდა იყოს საჯაროობის პრინციპი, მოსახლეობამ და მეწარმეებმა უნდა იცოდნენ რა მიზნებზე იხარჯება მათგან აკრეფილი გადასახადები.

XX საუკუნეში დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების ტრანსფორმაციაში ასახულია მეურნეობის კორპორაციული ფორმების განვითარება ბანკების, სააქციო საზოგადოებებისა და ა.შ. საჯარო ანგარიშგებით; საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა და მესაკუთრეთა ფენის და საფინანსო კაპიტლის გავლენის სფეროს გაფართოება. აღნიშნულის შედეგად ამ ქვეყნების საგადასახადო სისტემები გადაიქცნენ სამეურნეო კონიუნქტურის რთული და ეფექტური ანგელოზების მექანიზმად და მოქნილ ინსტრუმენტად, რომელიც ზეგავლენას ახდენს საკუთრების სხვადასხვა სახეების შემოსავლიანობის დონეზე, შეფარდებაზე დაგროვებისა და მოხმარების ამსახველ მაჩვენებლებს შორის საწარმოო და არა-საწარმოო სფეროებში.

XX საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში წამყვანმა განვითარებულმა ქვეყნებმა განახორციელეს ფართო საგადასახადო რეფორმები, რომელთაც მიმართული იყო კაპიტლის დაგროვების დაჩქარებაზე და საქმიანი აქტიურობის სტიმულირებაზე. მეტწილად კორპორაციების მოგების გადასახადის განაკვეთები, მოქალაქეების პირადი შემოსავლების გადასახადებით დაბეგრის ზემო ზღვარი, გაფართოვდა დაუბეგრავი შემოსავლების ჩარჩოები. ამან მოითხოვა არაპირდაპირი გადასახადების ზრდის აუცილებლობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხა დამატებული ღირებულების გადასახადს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ქვეყნებში არსებობს საგადასახადო კანონმდებლობის შესრულების და დაცვის თანამედროვე და საკმაოდ მკაცრი კონტროლის სისტემა.

ჩვენ ქვეყანაში ამჟამად არ გახდება ქმედითუნარიანი ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც ორიენტირებულია განვითარებული და სტაბილური საბაზრო ეკონომიკის მომსახურებაზე, იმ პირობებშიც კი, თუ შევძლებთ გადასახადების აკრეფის მექანიზმის ნორმალურ ამოქმედებას. დაუშვებელია გადასახადების განაკვეთების მეტსმეტე გაზრდა, რადგანაც ეს შეუწყობს ხელს საწარმოო სფეროში საქმიანი აქტიურობის უფრო ძლიერ დაბუხრუქებას. მგარაბ, მიუღებელია, აგრეთვე, ყველა საქმიანობის სახეობებისათვის საგადასახადო ბრუნის თანაბარი შემოსულებმა, რადგანაც ამჟამად საქმიანი აქტიურობა გადაყდების და სპეკულაციების სფეროში ძალიან მაღალია. საგადასახადო სისტემამ მხედველობაში უნდა მიიღოს რეალური სიტუაცია და იყოს ორიენტირებული მის გაუმჯობესებაზე. ეს კი ნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა შეიქმნას გადასახადების აღრიცხვის და აკრეფის ქმედითუნარიანი სისტემა და შემდეგ ამოქმედდეს საგადასახადო მექანიზმი, რომელშიც გადასახადების სახეების, მათი დიფერენციაციის, შედგაობებისა და სანქციების დადგენის პრინციპები მიმართული იქნება იმ პირობების შექმნაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ გადახდისუნარიანი მოთხოვნების და ინვესტიციური აქტიურობის კრიზისის დაძლევის და შექმნიან მიზანმიმართული სტრუქტურულ

ლი გარდაქმნის წანამძღვრებს. ეკონომიკის მწარმოებლური სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილის უმოქმედობა, საეაჭრო და საშუაშელო სფეროს ჰიპერტროფიული გაბერების, სხვადასხვაგვარი არასასაქონლო ოპერაციების წარმოებისა და საქმიანობის რიგი აბსოლუტურად დესტრუქციული სახეობების გაჩენის პირობებში ნათელია, რომ ზოგიერთი გადასახადის დიფერენციაცია (მწვანეთების მიცემის და სანჯკიების გარდა) ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში მოგების გადასახადის დიფერენციაციამ განაკვეთების მიხედვით შეიძლება უზრუნველყოს კაპიტალის გადაღინება საქმიანობის მიზანშეწონილ სახეობებში. ბევრ განვითარებულ ქვეყნებშიც გამოიყენება კორპორაციების მოგების გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთები. მაგალითად, აშშ-ში არსებობს მისი სამი განაკვეთი მოგების მოცულობის მიხედვით, რაც ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებაზე. ჩვენთან, ამ გადასახადის განაკვეთების დიფერენციაცია, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა. მწარმოებლური, საშუაშელო და საეაჭრო სექტორების კრილიში, აგრეთვე მწარმოებლური სექტორის ყველაზე პრიორიტეტული სახეობისათვის, რაღაცაე კაპიტალის გადაღინების ჩვეულებრივი მექანიზმი ჩვენთან უახლოეს პერიოდში ვერ დაიწყებს მუშაობას, ინვესტიციური კრიზისის დაძლევა კი სწრაფადაა საჭირო. ასეთი დიფერენციაცია აგრეთვე გადავარჩენს იმ დარგების სწრაფი და არაოპტიმალური სიდიდებით ზრდისაგან, რომლებსაც დროებით მოაქვთ დიდი შემოსავლები ეკონომიკის გარკვეული მოუწყვრთვებლობის პირობებში.

დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთების, შეღავათების, სანჯკიებისა და აგრეთვე გადასახადების მეშვეობით შემოსავლების მიზანმიმართულად გადანაწილების მექანიზმის გამოყენება ხელს შეუწყობს გადახდისუნარიანი მოთხოვნების გაზრდას და ინვესტიციური კრიზისის დაძლევას, მეურნეობის მიზანშეწონილ სტრუქტურულ გარდაქმნას, პრიორიტეტულად აღიარებული დარგების და წარმოების დაჩქარებულ განვითარებას.

საგადასახადო სისტემის ძირითადი კომპონენტებია შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: სახელმწიფოში აქაერფი გადასახადების ერთობლიობა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენცია და საგადასახადო რეგულირების სფეროში მათ შორის არსებული ურთიერთკავშირისა და ურთიერთშემოქმედების მექანიზმი და კომპეტენციის გამოყენება; გადასახადების და მათი განაკვეთების დადგენის ფორმები და მეთოდები; გადასახადების დარიცხვის მეთოდები და პროცედურები; საგადასახადო კონტროლის ორგანოები. აქვე შეიძლება გამოვყოთ საგადასახადო სისტემის სირითადი ფუნქციებიც: დასკალური, მარეგულირებელი, მასტიმულირებელი და "ამკრძალავი". ცხადია, ისინი წარმოადგენენ ურთიერთდაბოკიდებულ და ურთიერთშეაბრებულ ფუნქციებს. რეგულირებადი, მასტიმულირებელი და "ამკრძალავი" ფუნქციების სწორად გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ფისკალური ფუნქციის შესრულების ეფექტიანობის დონე (ე.ი. ბიუჯეტის შეგების და დაბალანსების დონე). ცნობილია, რომ სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნების შესაბამისად გადასახადები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: დასაბეგრი ობიექტების მიხედვით - პირდაპირი და არაპირდაპირი; იმ ორგანოს მიხედვით, რომელიც ახორციელებს გადასახადების აკრეფას და განკარგავს - სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი (მუნიციპალური); გამოყენების წესის შესაბამისად - საერთო და სპეციალური.

იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების დაბალანსება, საჭიროა შემოსავალ-გასავლების სწორი რაოდენობრივი მონაცემების არსებობა რეგიონებს და ადგილებს (მუნიციპალიტეტებს) შორის შემოსავლების ვერტიკალური (ზოგჯერ კი ჰორიზონტალური) გადანაწილების გათვალისწინებით. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ ხელო

სუფლები რომელ დონეს აკისრია პასუხისმგებლობა ამა თუ იმ დანახარჯებზე და რა თანხებით (გადასახადებით, დოტაციებით, სუბსიდიებით, კრედიტებით) შეივსება შესაბამისი დონის ბიუჯეტი, გათვალისწინებული დანახარჯების დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ე.ი. საჭიროა ფინანსების სფეროში სახელმწიფო მართვის დონეებს შორის უფლება-მოვალეობების მკვეთრი განაწილების უზრუნველყოფა, რაც შედის დონეებს-შორის-კომპეტენციის განაწილების და გამოფენის სისტემაში: ნებისმიერ შემთხვევაში ყოველ დონეზე უნდა არსებობდეს საკუთარი ბიუჯეტები და საკუთარი შემოსავლები. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი საბიუჯეტო სისტემა, სახელმწიფო ბიუჯეტი არაა ქრებსით: მსხვილი რეგიონების (შტატების, მიწების, დეპარტამენტების, ოლქების) და მართვის ადგილობრივი ორგანოების (ჭალაქების, რაიონების, საგრაფოების, დისტრიქტების) ფინანსები გაციალდებულია. მართვის ყოველი ორგანო თვითონ, ზემდგომ ორგანოებისგან დამოუკიდებლად წარმართავს თავის მეურნეობას, რაც უზრუნველყოფილია შემოსავლების-წყაროების გამოყვანილობით. ბუნებრივია, რომ უფრო მნიშვნელოვანი თანხები თავს იყრიან სახელმწიფო ბიუჯეტში. არის ისეთი გადასახადები, რომლებიც იყოფა დონეებს შორის განსაზღვრულ პროპორციებში. ბოლო ათწლეულებში შეიმჩნევა ადგილობრივი ბიუჯეტების წილის ზრდის ტენდენცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის წილი მაინც შეუდარებლად დიდ რჩება.

მთლიანობაში, საგადასახადო რეგულირების სფეროში ხელისუფლების ორგანოების კომპეტენცია განპირობებულია მეურნეობის გაძლიერების ტიპით, ფედერალური მოწყობით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თავისებურებებით. მაგრამ არსებობს კომპეტენციის გამოფენის ორი ძირითადი ტიპი. პირველი - როდესაც ცენტრალური (ფედერალური) ორგანოს აკისრია წამყვანი როლი საგადასახადო ინიციატივაში (აშშ). ამ შემთხვევაში, ადგილობრივ ორგანოებს მართალა გააჩნიათ ზოგიერთი ფუნქცია საგადასახადო ინიციატივის სფეროში, მაგრამ მთლიანობაში საგადასახადო პოლიტიკა ცენტრით განისაზღვრება. მეორე ტიპი ითვალისწინებს ხელისუფლების ორგანოების წილობრივ მონაწილეობას (გერმანია და რიგი სხვა ქვეყანა). ამ შემთხვევაში, ხელისუფლების დონეებს შორის კომპეტენციის განაწილების ჩარჩოებში ფიქსირდება, აგრეთვე, ყოველი დონის წილი გადასახადებში. პირველი ტიპი აძლევს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფრო მეტ თავისუფლებას საკუთარი საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრაში, მაგრამ იზრდება საგადასახადო ბაზის (და შესაბამისად ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის) არამდგრადობა და ჩნდება საგადასახადო რეგულირებაში დიფერენცირების შესაძლებლობა რეგიონული დონეების მხრიდან. მეორე ტიპი უზრუნველყოფს ტერიტორიების მიხედვით საგადასახადო შემონატანების შედარებით მდგრადობას, მაგრამ ზოლდება დამოუკიდებელი საგადასახადო პოლიტიკის პირობებს. წარმომქმნელი წინააღმდეგობების გადაწყვეტა ხდება დონეებს შორის გარკვეული კომპრომისის მიღწევით [9, გვ.89] და, აგრეთვე, შემოსავლების ვერტიკალური და ზოგჯერ ჰორიზონტალური გადანაწილებით დოტაციების (სუბსიდიების, გრანტების) საფუძველზე.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი საფინანსო ურთიერთობების სისტემა არაა სრულყოფილი. მაგალითად, არ არსებობს პასუხისმგებლობის მკვეთრი განაწილება შემოსავლების მიხედვით, მაკროეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით არაა მოფიქრებული და ავტბული საგადასახადო შემოსავლების განაწილების მოქნილი სისტემა. ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა შემოსავლების ფორმირების, განაწილების და გადანაწილების თვალსაზრისით არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს (ქ. თბილისის გამოწაკლისით, სადაც ადმინისტრაციული დაყოფა და მართვის დონეები დაახლოებით შეესაბამება განვითარებულ ქვეყნებში მიღებულ სტანდარტებს და ეკონომიკურ მიზანშეწონილი-

ბას - იგულისხმება ადმინისტრაციული დაყოფა და არა მართვის სისტემის სტრუქტურა და ფუნქციების რეალიზაციის ხარისხი). საჭიროა შეზღუდვების სისტემის არსებობაც ცენტრის და რეგიონების მოქმედებაზე იმ მიზნით, რომ სახსრები განაწილდეს მაქსიმალური ეფექტიანობით და ცალკეულმა რეგიონებმა არ მიიღონ მათთვის უფრო ხელსაყრელი პირობები, რაც ეწინააღმდეგება მაქსიმალურა ეკონომიკური მიზანშეწონილობის მოთხოვნებს და შესაბამისად ხელს შეუშლის ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების ეფექტურ რეალიზაციას.

კომპეტენციის გამოვლენა დონეებს შორის წარმოებს, აგრეთვე, დასაბუთარი ობიექტების მიხედვით. ყველაზე მობილურია სადინანსო საშუალებების მოძრაობა. ამიტომ, ამ შემთხვევაში, რეგულირების წამყვან დონეს წარმოადგენს ცენტრი. უფრო ნაკლებად მობილურია საქონლის ბრუნვა, ამიტომ ამ შემთხვევაში კომპეტენციის გამოვლენას დონეებს შორის აქვს უფრო რთული ხასიათი. ყველაზე ნაკლებად მობილურია მატერიალური საშუალებების და ფონდების მოძრაობა. მთლიანად ანაბილური ობიექტებს მიეკუთვნება მიწა, შენობები, ნაგებობები და ა.შ. ამიტომ ყველაზე ხშირად ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში შედის საგადასახადო რეგულირება საკუთარების ობიექტებზე, უპირველეს ყოვლისა, უძრავ ქონებაზე და მიწაზე.

ბიუჯეტების დამოუკიდებლობის პირობებში ვერტიკალური ურთიერთობები უზრუნველყოფილია კომპეტენციის გამოვლით ბიუჯეტის, შემოსავლების, საგადასახადო პოლიტიკის, საბიუჯეტო ხარჯების შესრულების კონტროლის, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სადინანსო ნაკადების გადანაწილების სფეროებში. სხვადასხვა ქვეყნებში ეს ურთიერთობები ხორციელდება სხვადასხვაინაირად, მაგრამ მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმები: საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა და საგადასახადო შემოსავლების განაწილება ხელისუფლების დონეებს შორის, შემოსავლების გადანაწილების სისტემის დადგენა, ხელისუფლების იმ დონის დადგენა, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო აქტების ადმინისტრაციულ შესრულებას.

მისასადაამე, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფორმირება და მისი რეგულირება აღნიშნული სახით განვითარებულ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ხელისუფლების ორგანოებს შორის კომპეტენციის მკვეთრი განაწილების (გამოვლენის) ღონისძიებებით სახელმწიფო (ფედერალურ), რეგიონულ (ნტატის, ოლქის, მიწის) და ადგილობრივ (მუნიციპალურ, კომუნალურ, რაიონულ) დონეებს შორის. იგი, აგრეთვე, განპირობებულია ცენტრის წამყვანი (მაგრამ არა ყოვლის მომცველი) როლით საკანონმდებლო საგადასახადო რეგულირებაში, ყველა დონის ბიუჯეტების დამოუკიდებლობით, რომლებსაც აქვთ კანონმდებლობით განსაზღვრული და რიგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შემოსავლების წყაროები და რიგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შემოსავლების წყაროები, და ქვემდგომი ბიუჯეტებიდან საერთო სახელმწიფოეზი პრაგამების დასადინანსებლად სახსრების გადარიცხვის პრაქტიკის არარსებობით (რიგ ქვეყნებში ამას აქვს ადგილი. მაგალითად, გერმანიაში, მაგრამ გადანაწილებული სახსრების წილი ჩვეულებრივად მცირეა; რიგ ქვეყნებში, მაგალითად გერმანიაში, წარმოებს აგრეთვე სახსრების პორიზონტალური გადანაწილება უფრო მდიდარი რეგიონებიდან ნაკლებად მდიდარ რეგიონებში).

სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების დეფიციტის, შრომის ანაზღაურების დაბალი დონის პირობებში მძალაუზრუნველყოფილი ფენების 'ჭარბი' შემოსავლები ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ფასების ზრდაზე. ამიტომ, გარდამავალი პერიოდის პირობებში (როგორცაც იმყოფება საქართველო) პირდაპირი გადასახადების (მოგების, საშემოსავლო გადასახადის და სხვა) განაკვეთებს და მათი დიდფრენციკირების პრინციპებს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

დისკრეციული შემოსავლის ცე.ი. შემოსავლის, რომელიც რჩება გადასახადების გადამხდლების განკარგულებაში) ზომის, მისი განაწილების, გამოყენების მიმარ-

თულუბებსა და შესაძლებლობებზე (მოხმარების განაწილება საქონლის და მომსახურების ჯგუფების მიხედვით; მაღალხარისხიანი და პრესტიჟული საქონლის, ფუფუნების საგნების მოხმარების დონე; რეალური ქონებით უზრუნველყოფილი ფსიანი ქალაქების შექმნა ან ბანკების და საშუაშელო ორგანიზაციების ფსიანი ქალაქების შექმნა და დაგროვება ანაბრებზე; საკუთარი სანეწარმო საკმიანობის გახსნა და განვითარება ან შემოსავლების გამოყენება სპეკულაციურ აბერაციებში) ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკის მდგარადობა. ამიტომ, დაბეგვრის პროგრესული საგადასახადო სკალის შემოღებისას და მიზანშეწონილი განაკვეთების განსაზღვრისას საჭიროა წარმოდგენა ვიჭონიით დისკრეტულ შემოსავალზე და მის განაწილებაზე მოსახლეობის ჯგუფებს შორის. ამჟამად, შეიძლება დისკრეტული შემოსავლის მხოლოდ მიახლოებითი განსაზღვრა, ხოლო სპეციალური საგადასახადო სკალის შედგენას კი საჭიროა ორიენტირება პრიორიტეტული საქმიანობის სახეობების გამოცოცხლებაზე და დესტრუქციული სახეობების ჩანშობაზე—გადასახადების დაბეგვრის საგადასახადო სკალის დიფერენცირების მოუხედავად დისკრეტული (განკარგავში დარჩენილი) შემოსავლის ოდენობა საკმაოდ მდგრადად უნდა იზრდებოდეს დასაბეგრი შემოსავლის მოცულობის ზრდასთან ერთად, სხვანაირად დაიკარგება მისი შემდგომი ზრდის სტიმული. ეს კი მოახდენს ნეგატიურ გავლენას ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და ხალხის კეთილდღეობის საერთო დონეზე. ძაგრამ, უკანასკნელი არ ეხება საქმიანობის დესტრუქციულ ფორმებს, რომელთა ჩანშობა საჭიროა ყველა შესაძლო საშუალებებით, მათ შორის მათ საქმიანობაზე პირდაპირი გადასახადების მაღალი განაკვეთის დაწესებით, ან განსაკუთრებული პირდაპირი გადასახადის შემოღებით (გადასახადი ზემოკლებაზე, გადასახადი კონიუნქტურაზე, გამათანაბრებელი გადასახადი).

არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის უფრო მეტი ხედრითი წილი მოდის მოსახლეობის მაღალშემოსავლიან ჯგუფებზე, რომლებიც უფრო მეტი რაოდენობით ყიდულობენ დაბეგვრად პროდუქტებს. რამდენადაც არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრა ახდენს გავლენას დისკრეტულ შემოსავალზე და მისი გამოყენების მიმართულუბებზე, ამდენად, ამიტომეტი აგრეთვე შეიძლება ეკონომიკის განვითარების რეგულირება. ძირითადად არაპირდაპირი გადასახადი გადასახადმა ბრუნვიდან განიცადა ტრანსფორმირება ჯერ გადასახადში გაყოფებზე (რომელიც ახლაც გამოიყენება ბერ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში), შემდეგ კი დამატებული ღირებულების გადასახადში, რომელიც პირველად იყო შემოღებული სალონგეთში, ამჟამად კი გამოიყენება ევროპეერთიანში ყველა ქვეყანაში და მრავალ სხვა ქვეყანაშიც. ზოგიერთ ქვეყანაში (კანადა, რუსეთი) ორი უკანასკნელი გადასახადით დაბეგვრა არსებობს ერთდროულად. საქონლის და მომსახურების შემადგენლობაში გამოიყოფა აქციზური საქონლის ჯგუფი (ალკოჰოლური სასმელი, თამბაქოს ნაწარმი, ბენზინი და სხვა ნავთობპროდუქტები, ავტომანქანები, ძვირფასეულობა და ა.შ.) და აგრეთვე ხანგრძლივი მოხმარების და ფუფუნების რიგი საქონელი, რომელზეც გამოიყენება გადასახადით დაბეგვრის განსაკუთრებული ინდივიდუალური წესი, დანარჩენი საქონლის მიმართ გამოიყენება გადასახადი გაყოფაზე ან დამატებული ღირებულების გადასახადი. თანამედროვე ეტაპზე დამატებული ღირებულების გადასახადი სულ უფრო მეტად იღებს თავის თავზე არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის უნივერსალური სახეობის ფუნქციებს, რასაც, კერძოდ, ხელს უწყობს მისი დიფერენციაცია საქონლის სახეობების კრილიში. არაპირდაპირი გადასახადების და გადასახადელების მნიშვნელოვანი სახეობა აგრეთვე საბაჟო შემოსავლები იმპორტისა და ექსპორტისაგან.

მოგება წარმოადგენს შეჯამებულ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს კორპორაციის, ფირმის, საწარმოს მუშაობის ეფექტურობას, გვაძლევს საშუალებას გომსჯელოთ, ესა თუ ის ორგანიზაცია რამდენად სიცოცხლისუნარიანი ბაზრის

პირობებში. ამასთან, არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ მოგების გადასახადი წარმოადგენს სტრუქტურაშემქმნელ გადასახადს მხოლოდ თანაბარი პირობების არსებობისას (ერთიანი განაკვეთი და მიზნობრივი შედარებები), რაც უზურუნველყოფს დარგთაშორისი კონკურენციის შესაძლებლობას და კაპიტალს გადასხმას (გადასაწილებას) დარგებში მოგების უფრო მაღალი ნორმით [6, გვ.43]. თანამედროვე ეტაპზე განვითარებული საბაზრო უკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობაში შემოღებული მოგების გადასახადის განაკვეთების ღირფრენციების (შეღავათების და სანქციების გარდა) პრაქტიკა, ამა თუ იმ ფაქტორთან დამოკიდებულებაში, ეკონომიკური განვითარების უფრო ეფექტური პირობების მიღწევის მიზნით [4, გვ.75; 3, გვ.49], რაც არ აფერხებს კაპიტალის მიზანშეწონილი გადაღინების პროცესს.

ეკონომიკური განვითარების ქვეყნების უმრავლესობაში იმ კომპანიების მოგება, რომელიც ეკუთვნის უცხოურ კაპიტალს, იბეგრება უფრო მაღალი განაკვეთით, ვიდრე ეროვნული კორპორაციების, ხოლო ეროვნული კორპორაციები კი იხდიან უფრო დიდ გადასახადებს მოგებიდან, რომელიც მიღებულია ქვეყნის ფარგლებში [8, გვ.78]. მაგრამ ქვეყნები, რომლებსაც სჭირდებათ განსაზღვრულ დარგებში ინვესტიციების მოზიდვა, მოგების გადასახადის მიმართ ახორციელებენ ღირფრენციურ პოლიტიკას.

ერთ-ერთ ძირითად პირდაპირ სტრუქტურაშემქმნელ გადასახადს წარმოადგენს გადასახადი კაპიტალის მომატებაზე. ქვეყნების უმეტესობაში იგი იკრძელება არა მატების გაჩენის მომენტში, არამედ ისი რეალიზაციისას (მაგალითად, აქციების გაყიდვის შემდეგ). ბელგიაში და საფრანგეთში ამ გადასახადის განაკვეთი უფრო ნაკლებია, ვიდრე მოგების გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთი. ბელგიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში და იტალიაში გრძელვადიანი დაბანდლებების განხორციელებისას გადასახადი მოქალაქეებისაგან კაპიტალის მომატებაზე საერთოდ არ იკრძელება [4, გვ.76].

ინვესტიციები და კაპიტალის შექმნა წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტ პირობას. ამიტომ ინვესტიციების დაუფიქრებელი დაბეგრვა მოახდენს არახელსაყრელ გავლენას პრიორიტეტულ დარგებში კაპიტალის შექმნის პროცესზე, შეაფერხებს კრიზისის დაძლეულს და რაციონალურ სტრუქტურულ გარდაქმნას. აქვე აღინიშნავთ, რომ აგრეთვე მიზანშეუწონელია ინვესტიციური მიზნებისათვის მინჭანა-მოწყობილობის იმპორტის არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგრვა, თუ კაპიტალის დაბანდება ხდება პრიორიტეტულად გამოცხადებულ დარგებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს საქონელზე და მომსახურებაზე. მას აქვს უფრო კართო დასაბეგრი ბაზა სხვა არაპირდაპირ გადასახადებთან შედარებით და უფრო მაღალი ძირითადი განაკვეთები. დამატებული ღირებულების გადასახადის საგადამხდელია ზაზა წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც დამატებულია საქონლის წარმოების და რეალიზაციის ყოველ სტადიაზე და მოიცავს ხელფასს დანარიცხებით, ამორტიზაციას, კრედიტის პროცენტს, მოგებას, ხარჯებს ელექტროენერგიაზე, რეკლამაზე, ტრანსპორტზე და ა.შ. ფასში შედის დამატებული ღირებულების გადასახადის მთელი ჯამი, რაც შეიტანეს მიწარმებმა საქონლის მომხმარებელამდე წაწვევის ყველა სტადიაზე. ამიტომ ამ გადასახადის ძირითადი (მაგრამ არა ერთადერთი) და საბოლოო გადამხდლები არიან მომხმარებლები. ამ გადასახადის უნივერსალურობისა და ბიუჯეტში შემოსულის რეგულარობის გამო ეს გადასახადი წარმოადგენს დაბეგრვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფორმას, რომელიც აგრეთვე ეკონომიკის რეგულირების ეფექტური საშუალებაა.

დამატებული ღირებულების გადასახადის უპირატესობანია: საგადასახადო სკალის გამოანგარიშების და აკრეფის პროცედურების მიმართ მიდგომის უნიტარულობა; კონტროლის გამარტივება საქონლის და მომსახურების მოძრაობაზე,

დანახარჯებზე; ექსპორტის სტიმულირება, რადგანაც საქონლის ექსპორტი ამ გადასახადით არ იბეგრება; პირდაპირი გადასახადებისაგან განსხვავებით დამატებული ღირებულების გადასახადი შემოდის ზაინიში რეგულარულად და თანაბრად. გადასახადის ძირითადი რეგულირებადი ფუნქციებია პარამეტრების კონსისტენციის შეკავება, ბაზრიდან სუსტი მწარმოებლების დაჩქარებული განდევნა და სხვა.

საფრანგეთში, სადაც ეს გადასახადი პირველად იყო შემოღებული 1954 წ., ამჟამად მოქმედებს ოთხი განაკვეთი. ფიქსირებული განაკვეთები განისაზღვრება კანონით ფინანსების შესახებ, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს პარლამენტი. მაგალითად, 1988 წ. მოქმედებდა შემდეგი განაკვეთები: 33,33% - უკიდურესი განაკვეთი, ფუფუნების საგნებზე, თამბაქოზე, ალკოჰოლზე; 18,6% - ნომინალური განაკვეთი საქონლის და მომსახურების ყველა სახეობაზე; 7,0% - შემცირებული განაკვეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ს-ვნებზე; 5,5% - პირველადი საჭიროების საქონელზე და მომსახურებაზე [10, გვ.106]. იტალიაში ამჟამად მოქმედებს ხუთი განაკვეთი: შეღავათიანი - 0 და 4%-იანი; ძირითადი - 9%-იანი; ორი დანარჩენი 19 და 38%-იანი [10, გვ.108]. დიდ ბრიტანეთში სტანდარტული განაკვეთია 15%, მაგრამ რიგი საზოგადოებრივად ან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქონელი და მომსახურება იბეგრება ნულოვანი განაკვეთით. გერმანიაში საშუალო განაკვეთია 14%, მაგრამ გთვლისწინებულია 7% (ზევით ან ქვევით მისი გადახრის შესაძლებლობით), სასურსათო საქონელი კი იბეგრება 6,5%-ით [5, გვ.22].

სხვადასხვა განაკვეთების პრობლემა ახდენს გავლენას საქონლის კონკურენტუნარიანობის დონეზე ფასებში განსხვავებების გამო და უჩენს საზრუნავს იმ ქვეყნებსაც, რომლებიც არ შედიან ევროგაერთიანებაში. გარდამავალი პერიოდში დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთების განსაზღვრისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, რადგან სასაქონლო დეფიციტის და კონკურენტის ფაქტორი უქონლობის პირობებში ეს გადასახადი მთელი სიმძიმით აწევა საბოლოო მომხმარებელს, ახდენს ინფლაციური პროცესების სტიმულირებას [7, გვ.24; 11, გვ.27; 13, გვ.21].

საქართველოში ამჟამად საჭიროა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის დონემ არ მოახდინოს ინფლაციური ზეწოლა ეკონომიკაზე. ჩვენი აზრით, ამას ხელს შეუწყობს მისი მკვეთრი დიფერენცირება საქონლის ჯგუფების მიხედვით, რაც შესაძლებელს გახდის არაპირდაპირი გადასახადების დაბეგვრის სიმძიმის გადანაწილებას მალაქმომოსავლიანი ფენების მხარეს. ამავდროულად მოხდება ძვირადღირებული საქონლის მოხმარების წილის გარკვეული შემცირება მთლიან მოხმარებაში, რაც წააჭეზებს მწარმოებლებს და კომერსანტებს გადაერთონ როგორც მომხმარებელზე და საბოლოო ჯამში მოემსახურება ეკონომიკის გამოცოცხლების მოთხოვნებს შესაბამისი პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის საფუძველზე. პირველადი საჭიროების საქონლის ძირითადი სახეობები შეიძლება პირველ ხანებში საერთოდ იყვნენ განთავისუფლებული ამ გადასახადით დაბეგვრისაგან.

განვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელ პერიოდში იზრდება ქონების გადასახადის მნიშვნელობა. საქართველოში ქონების გადასახადის განაკვეთები განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მეტისმეტად დაბალია. მაგრამ, ამ გადასახადს აქვს სერიოზული პოტენციალური შესაძლებლობა ეკონომიკის რეგულირებაში: ეკრძოდ, გადასახადის საგრძნობი დონე მოახდენს გავლენას იმ მესაკუთრებზე, რომლებიც არაეფექტურად იყენებენ შენობებს, ნაგებობებს, მოწყობილობას, აძილებს მათ უფრო ეფექტურად გამოიყენონ ან გაყიდონ ზედმეტი საკუთრება, რაც გამოაცოცხლებს საფონდო ბაზარს, დაიწყება საწარმოო ქონების გადანაწილება იმ პირთა ხელში, რომლებსაც შეუძლიათ მისი უფრო ეფექტიანი განკარგვა. კონკრეტულ ზღვრებში ამ გადასახადის გაზრდის ექნება აგრეთვე ანტიინფლაციური

მნიშვნელობა, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება (რომელიც ქვეყანაში ჯერჯერობით ძალიან დაბალია) მიუხალოვდება მისი რეალური ღირებულების დონეს.

მაგრამ ქონების გადასახადის განაკვეთის განსაზღვრისას საქირთა ქვეყნის ეკონომიკის ტერიტორიული თავისებურებების და სტრუქტურული მახასიათებლების გათვალისწინება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადად საწარმოო ფონდების დაბეგვრისას. მაღალ არადიფერენცირებული ქონების გადასახადი გამოიწვევს ფონდტევადი დარგების დისკრიმინაციას შრომატევადი წარმოებების სასარგებლოდ და გადაიქცევა მნიშვნელოვან მუხრუპად ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიაჩნდების დროს. ამ შემთხვევაში, ყველაზე ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებიან ის სტრუქტურები, რომლებსაც არა აქვთ ძირითადი ფონდები, ან მათი წილი კაპიტალში უმნიშვნელოა.

წინათ არსებული ფონდების გადასახდელის არაფექტურობამ გვიჩვენა, რომ გადასახადი მაღალი განაკვეთით არ შეიძლება იყოს ერთიანი ყველა დარგებისა და საწარმოებისათვის. ამ გარემოების გათვალისწინებლობა ბაზრის პირობებში შეადგენს კაპიტალის საბაზრო გადაინების და აქტიონერული საკუთრების ფორმირებას.

საზღვარგარეთ ოპტიმალურად ითვლება ქონების გადასახადის განაკვეთის ისეთი დონე, რომელიც მუნიციპალური მომსახურების ღირებულების ადეკვატურია, მაგრამ მისი დადგენა ძნელია. დაბალი შემოსავლები ქონების გადასახადიდან განიხილება როგორც არაადეკვატური საგადასახადო პოლიტიკის და არადაამკაცოფილებელი საგადასახადო მართვის შედეგი, მეტისმეტად მაღალი განაკვეთით კი სამთავრობო მიხედვების მოსყიდვის ცდუნებას განაპირობებენ [1, გვ.43, 44].

ცხადია, რომ ქონების გადასახადი უნდა იყოს დიფერენცირებული საწარმოო დანიშნულების ქონების (ძირითადი საწარმოო ფონდების) ფონდტევადობის გათვალისწინებით, საკუთრების სახეების კრილში: საწარმოო, კომერციული (მათ შორის დანიშნული დაწესებულებების, ფირმების წარმომადგენლობებისა, ბანკებისათვის და ა.შ.), სოციალურ-საყოფაცხოვრებო (საცხოვრებელი, კრძო ავტომანქანები და ა.შ.). განვითარებულ ქვეყნებში ქონების გადასახადის დიფერენცირება ხდება აგრეთვე მისი სიდიდის მიხედვით, მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების დაცვის მიზნით, ამასთან, დიფერენცირება ამ მიმართულებით ძლიერდება. ბევრ ქვეყანაში მიწის გადასახადით დაბეგვრის ოდენობა დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, წიაღისეულის არსებობაზე და ა.შ.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს ყველა ქვეყანაში აქვს პროგრესული ხასიათი. მკდარი შეხედულებები საშემოსავლო და სხვა ძირითადი გადასახადების განაკვეთების დიფერენცირებაზე უარის თქმის აუცილებლობის შესახებ. კარგად მოწესრიგებული საბაზრო მეურნეობის მქონე ქვეყნებშიც კი არსებობს საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთები. ერთიანი განაკვეთის შემოღება არაა გამართლებული არც ეკონომიკურად და არც სოციალურად. განვითარებულ ქვეყნებში ამა თუ იმ ფორმაში მიღებული კორპორაციული (მოგების), საშემოსავლო და სხვა გადასახადების განაკვეთების დიფერენცირება განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის მიზანშეწონილი რეგულირების ობიექტური აუცილებლობით და არ ეწინააღმდეგება მას.

არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელოვანი ელემენტია - საბაჟო შემოსავლები და შემოსავლები ექსპორტიდან. საბაჟო შემოსავლები, რომლებიც ფაქტურად წარმოადგენენ შემოსავალს იმპორტიდან, შედგებიან საბაჟო გადასახდლებისაგან (საბაჟო გადასახადი, საბაჟო პროცედურაზე მოსაკრებელი, საბაჟო მომსახურებაზე მოსაკრებელი, საფასური საქონლის საბაჟო გაცილებაზე, საბაჟო აუქციონებზე მონაწილეობის საფასური და სხვა; დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი იმპორტულ საქონელზე). საბაჟო გადასახადი განსაზღვრება საქონლის იმპორტული ღირებულების მიხედვით. ყველა ქვეყანაში იმპორტული ტა-

რადიკალური და საბაჟო გადასახდლების მეშვეობით რეგულირდება იმპორტის ნაკადები საქონლის ჯგუფების კრილოში, რაც ხელს უწყობს რაციონალური სტრუქტურული პოლიტიკის გატარებას. საბაჟო გადასახადები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ არა მარტო როგორც ბიუჯეტის შევსების წყარო, არამედ როგორც შიდა ბაზრის რეგულირების ინსტრუმენტი. საბაჟო გადასახადების ზრდა განიხილება როგორც პროტექციონისტული ზომა, მიმართული შიდა ბაზრისა და ეროვნული მეწარმეების დაცვაზე.

განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის წახალისების ან შეკავების მიზნით საქონლის ჯგუფების კრილოში გამოიყენება სახელმწიფო და საბაზრო რეგულირების მთელი კომპლექსი.

ექსპორტული-იმპორტული ოპერაციების არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგრას განვითარებულ ქვეყნებში აქვს რთული ხას. ათი, რომელიც მიმართულია საგარეო ვაჭრობის რაციონალიზაციაზე. შესაბამისი სისტემის არარსებობა იწვევს უარყოფით პროცესებს და შედეგებს: არაეფექტური გაცვლა, უცხოური კაპიტალის და ერთობლივი საწარმოების ორიენტირება მხოლოდ სამუშაო საშუალებაზე, საექვო წარმოშობის კაპიტალის ეკონომიკაში შეღწევა, აღნიშნული ჯგუფების და სხვა ექსპორტიორების და იმპორტიორების მიერ შემოსავლების მიღება ეკონომიკის გაბარტახების და სარესურსო პოტენციალის გამოფიტვის ხარჯზე, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში.

საბაზრო ეკონომიკის შქონე ქვეყნებში საქსპორტო-საიმპორტო ოპერაციების დაბეგრისათვის გამოიყენება, აგრეთვე, გამათანაბრებელი გადასახადი, რომელიც მიმართულია იმპორტულ (მსოფლიო) და შიდა ფასებს შორის სხვაობის გამო შექმნილი ზემოების ამოღებისაკენ, საბაჟო გადასახადების გათვალისწინებით. ასეთი გადასახადით დასაბეგრი საქონლის ნუსხა ჩვეულებრივად არაა დიდი (ძირითადად ეს არის ნავთობი და ნავთობპროდუქტები).

გადასახადების დაბეგრის საკანონმდებლო რეგლამენტაცია იძლევა გადასახადების სისტემის ცენტრალიზებული მართვის განხორციელების შესაძლებლობას, რის გამოც უკანასკნელი წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს.

ჩვეულებრივად გადასახადებით დაბეგრა რეგულირდება კანონების დიდი ჯგუფით, რომლებშიც გაშუქებულია როგორც დაბეგრის უშუალო პრინციპები და მექანიზმები, ასევე ეკონომიკური საქმიანობის სხვა მხარეები. მაგალითად, კანონმდებლობაში ინტეგრაციების პროცესში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის რეგლამენტაციაზე, ინოვაციურ საქმიანობაზე, სუბსიდიებზე, სუბვენციებზე და ა.შ. არის მუხლები, რომლებიც ეხება ეკონომიკური საქმიანობის იმ სახე ანების გადასახადებით დაბეგრის წესებს ან დაბეგრის მექანიზმის კოორდინაციას, რომლებიც განისაზღვრებიან შესაბამისი კანონით, მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ ცვლილებები გადასახადებით დაბეგრის პროცედურაში საქმიანობის ამა თუ იმ სახეობის სუბსიდიების დროს. ვერა ამა, შეიძლება მოყოფიროთ ის ფაქტი, რომ საგადასახადო ურთიერთობები შევდეთში რეგულირდება კანონებით: შემოსავალზე სახელმწიფო გადასახადის, კომუნალური გადასახადის, შესატანების, კაპიტალური დაბანდების საერთო რეზერვის, მოდერნიზაციის განსაკუთრებული ფონდის, სოციალური გადასახდების, ექსპორტის დაკრედიტებაში დახმარების შესახებ და სხვა [8, გვ.60-67].

უნდა აღინიშნოს, რომ თუ გადასახადების განაკვეთები მერყეობენ, ე.ი. სხვადასხვა წლებში მათი კორექტირება ხდება, გადასახადების გამოყენების წესები წლების განმავლობაში ძირითადად სტაბილურია.

გადასახადებით დაბეგრის ფისკალური ფუნქციის რეალიზაცია უზრუნველყოფს სახელმწიფო ფულადი ფონდის შექმნას, ქმნის სახელმწიფოს არსებობის და ფუნქციონირების მატერიალურ წინამძღვრებს. ფისკალური ფუნქცია განაპირობებს

მარეგულირებელ ფუნქციას, რომელშიც გადასახადები გამოლიან გადაწვილების პროცესის აქტიური ინსტრუმენტის როლში, ახდენენ არსებით გავლენას სამეურნეო განვითარებაზე, ახალისებენ ან აკავებენ მის ტემპს, განსაზღვრებენ პროპორციებს საქმიანობის სახეებს შორის, აძლევენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვების პროცესს, აფართოებენ ან ავიწროებენ მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნილებას.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახეების გადასახადებს შორის შეფარდებისა და აგრეთვე სხვადასხვა დონეებს შორის პროპორციების სწორი დადგენა. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს პირდაპირი გადასახადების წილის შემცირებისა და არაპირდაპირი გადასახადების წილის ზრდის ტენდენცია. დღეისათვის, რაც ქვეყანაში ჰქარბობს არაპირდაპირი გადასახადების წილი. საფრანგეთში არაპირდაპირი გადასახადებზე მოდის 60%, აშშ-ში კი პირიქით, ვერ-ვერობით ჰქარბობს პირდაპირი გადასახადების წილი.

შეიმჩნევა განაკვეთების (პროცენტებში) ზედა და ქვედა ზოგების დაახლოების გარკვეული ტენდენცია, ძლიერდება საგადასახადო შედავითებისა და სანქციების მიზნობრივი ორიენტაცია, ადვილი აქვს მათი მარეგულირებელი ზემოქმედების გაძლიერების მიზანსწრაფვას. ერთდროულად მცირდება შედავითების ნიარსახეობათა რაოდენობა, რაც მიმართულია იმაზე, რომ ხელი შეუშალონ ზოგიერთ ფირმებს (განსაკუთრებით მსხვილ კომპანიებს) გადასახადებით დაბეგრისაგან შემოსავლების გადამაღვის ხერხების მოძებნაში შესაბამისი საკონსულტაციო ფირმების მეშვეობით.

გარდამავალი პერიოდის პირობებში გადასახადების ნუსხამ და განაკვეთებმა, აგრეთვე, შედავითების და სანქციების სისტემამ უნდა უზრუნველყოს: 1) კრიზისიდან გამოსვლის და მიზანშეწონილი სტრუქტურული გარდაქმნის პროცესების სტიმულირება; 2) სამეურნეო საქმიანობის აქტივობისა საჭირო მიმართულებით; 3) მიზანშეწონილი სამეურნეო საქმიანობის (მათ შორის მიზანშეწონილი უცხოური კაპიტალის) ინვესტირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; 4) ეკონომიკაზე ანტიინფლაციური ზემოქმედება; 5) საწარმოო პოტენციალის განაწილების სტიმულირება მობილურად, ეფექტიანად მომუშავე იმ წარმოებათა სასარგებლოდ, რომლებიც ორიენტირებულია საზოგადოების საჭიროებებზე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ექსპორტული საწარმოო პოტენციალის და საჭირო იმპორტანაცვლებითი წარმოებების შექმნაზე; 6) ინვესტიციური პროცესის ორიენტირების მიმართულების შეცვლა საშუაყოლო ოპერაციების უპირატესი დაფინანსებიდან საწარმოო ოპერაციების დაფინანსებაზე.

არაპირდაპირი გადასახადები, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ გადასახა უებს მომხმარებლებზე, ხოლო პირდაპირი კი - მწარმოებლებზე. არაპირდაპირი გადასახადების სასარგებლოდ პროპორციების შეცვლის მიზანია სანქციონო საქმიანობის სტიმულირება. მაგრამ, ამასთან ერთად, არ უნდა დავეშვათ გადახდისუნარიანი მოთხოვნილების შემცირება, რაც გამოიწვევს ეკონომიკის განვითარების დაკეშას. გადახდისუნარიანი მოთხოვნილება საბაზრო ეკონომიკის განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც იძლევა საჭირო მიმართულებით მისი სტრუქტურის გარდაქმნის შესაძლებლობას, იმ დარგებში და საწარმოებში კაპიტალისა და მუშა ძალის გადადინებაზე ზემოქმედების მეშვეობით, რომლებითაც დაინტერესებულია საზოგადოება. ამიტომ, არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთების დადგენისას საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ როგორ გავლენას მოახდენენ ისინი მოსახლეობის ძირითადი მასის გადახდისუნარიან მოთხოვნილებაზე. ჩვენ პირობებში საჭიროა მოსახლეობის ძირითადი ოსის მოთხოვნილების გაზრდა (სხვათაგან ეკონომიკის საფუძვლიან ზრდის ადგილი არ ექნება). საგადასახადო პოლიტიკა ამ მიმართულებით იმუშავეს სასოციალური მნიშვნელობის საქონელზე და ზოგიერთ სხვა ფართო მოხმარების საგნებზე დამატე-

ბულო ღირებულების გადასახადის განაკვეთების შემცირების შემთხვევაში. ამასთან, როდესაც დაგროვილი სახსრები იხარჯება ძირითადად შუამავლობის სფეროში და მაღალშემოსავლიან ფენებში, მაღალია ძვირადღირებული საქონლის მოხმარება. მსგავს შემთხვევებში საჭიროა ასეთ საქონელზე დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთების გაზრდა, რაც შეუწყობს ხელს ძვირადღირებული საქონლის შემენახე მიმართული შემოსავლების განსაზღვრულ ზომებში გადადენას წარმოების სფეროში და ამით უზრუნველყოფს მის გარკვეულ გამოცოცხლებას.

გადახდისუბარიანი მოთხოვნის გაზრდის გარდა საბაზრო მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ექსპორტული შესაძლებლობების განვითარებას. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი მცირე ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთან, დღეისათვის აუცილებელია ექსპორტის სტიმულირება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების მოქნილი გამოყენების მეშვეობით. დამატებული ღირებულების გადასახადით არ იზღვრება საქონლის ექსპორტი. ექსპორტის ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე საბაჟო გადასახადმა იმპორტზე. ასე შეგვიძლია, ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოთა მუშაობისათვის საჭირო იმპორტულ პროდუქტებზე (ნედლეული, საკომპლექტო დეტალები, კვანძები, ძირითადი ფონდები და მათთვის სათანადო ნაწილები) შეიძლება მიწოდებული საბაჟო გადასახადების დადგენა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კი საბაჟო გადასახადისგან მათი მთლიანი განთავისუფლება. შეიძლება, აგრეთვე, საბაჟო გადასახადთან დროებით მოკმედი ფასდაკლების სისტემის დანერგვა.

ჩვენთან, ამჟამად, საჭიროა პირდაპირი გადასახადების წილის გარკვეული შემცირება, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობის გამოცოცხლებას და ეკონომიკის ორიენტაციას: მიზანშეწონილ სტრუქტურულ გარდაქმნაზე მარამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება დაწესებული დიფერენცირებული განაკვეთები საქმიანობის ძირითადი მიმართულებების კრილში და სწორად იქნება განსაზღვრული შეღავათების და სანქციების სისტემა ამა თუ იმ სახეობის წახალისების, ან შეკავებისათვის.

საგადასახადო განაკვეთების სწორად დადგენისათვის, კერძოდ, საჭიროა დასაბეგრი მოგების ცნების მკვეთრი განსაზღვრა. ამიტომ საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, გარდა აღნიშნულისა, მიმართული უნდა იყოს დანახარჯების სხვადასხვა ელემენტების აღრიცხვის სრულყოფისაკენ.

შეიძლება რამდენადღე ვაიზარდოს აგრეთვე ქონებრივი გადასახადის წილი. მაგრამ, აქ მიდგომას განაკვეთების დიფერენციაციის მიმართ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით გულდასმითი ხასიათი. მაგალითად, თუ დაწესდა ქონების საკმაოდ მაღალი გადასახადი ფონდტევად საწარმოებზე, ის გადაფარავს მთელ მიღებულ მოგებას და საწარმო გაკოტრდება, რაც გამოიწვევს სხვა საწარმოების გაკოტრების და გაჩერების ჯაჭურ რეაქციასაც.

მნიშვნელოვანია, არა მარტო რაციონალური პროპორციების დადგენა, ცალკეულ გადასახადებს შორის, არამედ საგადასახადო დატვირთვის საერთო დონის სწორი განსაზღვრაც. გადასახადებით დაბეგვრის საერთო დონის განსაზღვრისას საჭიროა სახსრების ხარჯვის დროს სახელმწიფოს რეალური მოთხოვნებისა და შესაძლებლობების და აგრეთვე შემოსავლების ფორმირების ამა თუ იმ წყაროს მეშვეობით სახსრების აკუმულირების შესაძლებლობათა შეფასება და ვათვალისწინება. ასე მაგალითად, დატვირთვის შემცირება ხარჯების მოცულობის შენაკარჩუნების შემთხვევაში ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს, რაც იწვევს ინფლაციის გაძლიერებას. საინვესტიციო და საკრედიტო აქტიურობის ორიენტირების მიმართულების შეცვლას საწარმოო სფეროდან საშუამავლო სფეროში და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება სახელმწიფო ვალუების აღების ხარჯზე (ქვეყნის შიგნით ფასიანი ქაღალდების გამოშვება, საგარეო ვალები)

მოითხოვენ მნიშვნელოვან სახსრებს შიდა და საგარეო ვალუბის მომსახურებისათვის. ეს, აგრეთვე, იწვევს ცვლილებებს ინვესტიციების სხვადასხვა ფორმების კონკრეტულ ნარჩენების დონეში. ამიტომ საჭიროა საგადასახადო დატვირთვის დონეს, სესხს და საკუთარ სახსრებს შორის საჭირო პროპორციების ისეთი განსაზღვრა, რომ მაქსიმალურად შესუსტდეს ინფლაციური (და სხვა ნეგატიური) პროცესებო და შეიქმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები წარმოების რაციონალური განვითარებისათვის. არ, შეიძლება საგადასახადო დატვირთვის დაუსაზღვრელი გაძლიერება, ძირითადი გადასახადების განაკვეთების გაზრდა (მოგების, დამატებული ღირებულების და სხვა), მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტის განზრდაც. ამიტომ საჭიროა საბიუჯეტო შემოსავლების ახალი წყაროების მოძებნა, ძირითადი გადასახადების განაკვეთების დღეგრეცესიის რაციონალიზება, ზემოთგების გამოვლენა და დაბეგრების გზით ამოღება (რიგი გამოწვევის გარდა, როდესაც ზემოთგების მიღება მიღწეულია წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვით). ამას შეუწყობს ხელს, აგრეთვე, შეღავათების და სანქციების მიზანშეწონილი სისტემა და მიზანშეწონილი სამორტიზაციო პოლიტიკა, რომლებიც უზრუნველყოფენ პრიორიტეტულ სფეროში საწარმოების საქმიანობის სტიმულირების საფუძვლებს.

ჩვენი აზრით, საგადასახადო რეგულირებას შეიძლება ჰქონდეს როგორც ოპერატიული, ასევე გრძელვადიანი ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორი ეჭვის ქვეშ აყენებს ეკონომიკურ პროცესებზე ოპერატიული ზემოქმედების შესაძლებლობას საგადასახადო რეგულირების გზით. მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ადგილი აქვს ეკონომიკურ კონიუნქტურაზე მოკლევადიანი ზემოქმედების უამრავ მაკროეკონომიკურ სისტემაში ცვლილებების შეტანის გზით. ეკონომიკური კონიუნქტურის მიმართ საგადასახადო სისტემის მოქნილობის, რგანობობიანობის და ამთვისებლობის დატვირთვას მიაქვს არასასურველი შედეგები.

ეკონომიკის საგადასახადო მეთოდებით რეგულირების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგადასახადო შეღავათების და საფინანსო სანქციებს. თუ გვემოური ეკონომიკის დროს შეღავათების აღრესაცია ხდებოდა საწარმოების ჰრილში (ამასთან შეღავათების მიღება შეეძლოთ ტექნიკურად ჩამორჩენილ არაპერსპექტიულ საწარმოებსაც), საბაზრო ეკონომიკის პირობებში საგადასახადო შეღავათების ღებულობენ არა ფირმები, არამედ საქმიანობის სახეობები (ხანდახან ტერიტორიებიც). რაც იძლევა პრიორიტეტების დადგენის (აღნიშვნის) შესაძლებლობებს. საგადასახადო შეღავათები საწარმოებს ენიჭებათ რეგიონული ფაქტორების, დარგობრივი კონიუნქტურის, წარმოების მასშტაბების მიხედვით. საგადასახადო შეღავათების მიზანშეწონილი იძლევა საკრედიტო პოლიტიკის, საწარმოო დატვირთვის, წარმოების მოდერნიზაციის დაფინანსების, საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის რეგულირების შესაძლებლობებს. ბევრ ქვეყანაში (ირლანდია, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია) ზოგიერთ რაიონში გადასახადები იკრთება შემციირებული განაკვეთების მიხედვით, ან კომპანიები განსაზღვრული ვადით თავისუფლდებიან გადასახადებისაგან. დაბეგრისაგან, აგრეთვე, თავისუფლდება რეინვესტირებაზე მიმართული მოგება. გერმანიაში საგადასახადო შეღავათებს ღებულობენ ფირმები, რომლებიც აწარმოებენ კაპიტალის ინვესტირებას ჩამორჩენილ რაიონებში, მრეწველობის თანამედროვე დარგების სტიმულირება საფლად კი ხდება საგადასახადო შეღავათებით [13, გვ.23]

კრედიტის მარეგულირებელი მექანიზმის განვითარების ყოველი ეტაპისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული და საბაზრო კოორდინაციის ისეთი შეხამება, რომელიც შეესაბამება ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბებულ მიკრო და მაკრო დონეების ურთიერთგანსაზღვრულ შეფარდებას. განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც 80-90-იან წლებში კრედიტის მართვაში ნიშანდობლივი იყო მიკროდონის და შესაბამისად საბაზრო კოორდინაციის როლის გაძლიერება, საქართველოში ამ სფეროში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეაყენათ საკითხი მაკროდონის და ბიუროკრატიული კოორდინაციის უპირატესობაზე. ამჟამად საქართველოში საბანკო-საკრედიტო საქმიანობა ჩანასახოვან მდგომარეობაშია, შეიმჩნევა სახსრების უქმარისობა, არსებობს მრავალი სინდრომები მათი მობილიზაციისათვის საკრედიტო სისტემაში. მავალთადა, ეს ხერხდება საქმიანობა რაოდენობით კომერციულ ბანკებში დეპოზიტების მოზიდვაც. ამას ადასტურებენ 1998 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისადმი თანდართული ანალიზის მონაცემები. მასში შეიმჩნევა ისეთი სავალალო ტენდენცია, რომელიც კრედიტის გამოყენებისას უპირატესობას ანიჭებს სპეკულაციური საქმიანობის გაწვევას (ძირითადად საშუაშავლო-სავაჭრო სფეროსათვის მოკლევადიანი კრედიტის გამოყოფით), ვიდრე წარმოების აღორძინებას. ეს კი, ბუნებრივია, თანდათანობით გამოიწვევს ზედმეტი მოცულობით შეზღუდულად ლიკვიდირებადი ფულადი აგრეგატების (რომლებიც ზშირად საექვო ფასეულობებითაა უზრუნველყოფილი) გაჩენას. თანაფარდობა ეგზოგენურ ფულსა და შეზღუდულად ლიკვიდირებად აგრეგატებს შორის არასასურველი გახდება, რაც გამოიწვევს ინფლაციური ტენდენციების გაძლიერებას. ამ პერიოდში საჭიროა საშუაშავლო სფეროს დაკრედიტების შეზღუდვა (ფარდობით გამოსახულებაში) საწარმოო სფეროს სასარგებლოდ. რაც მოითხოვს შესაბამის სახელმწიფო რეგულირებას (ეროვნული ბანკის მხრიდან) საშუაშავლო-სავაჭრო და საწარმოო სფეროებს შორის დაკრედიტების მოცულობაში მიზანშეწონილი თანაფარდობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ბიუროკრატიული კოორდინაცია უნდა იყოს უფრო მკაცრი. მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების უგულებელყოფაც არ შეიძლება, განსაკუთრებით იმ მიმართულებებით, რომლებიც გვაძლევს საკრედიტო რესურსებით უფრო მოქნილი მანევრირების, საკრედიტო სისტემაში მათი მოზიდვის სრულყოფის და საწარმოო სფეროში მათი უპირატესი განთავსების შესაძლებლობას. ამიტომ საკრედიტო სფეროს რეგულირების სისტემა ისე უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ მასში უფრო მეტი თავისუფლება მიეცეს განვითარების იმ მიმართულებებს (ტენდენციებს), სხვადასხვა დანიშნულების აქტივების ურთიერთთანაცვლების შესაძლებლობა), რომლებიც ხელს უწყობენ საკრედიტო რესურსების მიზანშეწონილ მობილიზაციას, მანევრირებას და საწარმოო სფეროში განთავსებას. გარდა ამისა, უცრო მკაცრი რეგულირება უნდა ხდებოდეს საკრედიტო სფეროში სპეკულაციური ოპერაციების შეზღუდვის მიზნით.

საკრედიტო რეგულირება დაყრდნობილი უნდა იყოს საკრედიტო მექანიზმის ყველა რგოლის ურთიერთდამოკიდებულებაზე, სადაც მარეგულირებელი მექანიზმის

ბირთვად უნდა გამოდიოდეს ცენტრალური ბანკი კერძო საბანკო სისტემასთან ერთად. ცენტრალური ბანკის მიერ გენერირებული საკრედიტო პოლიტიკის იმპულსები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მასთან შედროულ დაკავშირებულ და რესურსების თვალსაზრისით მისგან ყველაზე მაგარად დამოკიდებულ ბანკებზე. შემდეგ უკანასკნელების მეშვეობით იმპულსი გადაეცემა საკრედიტო სისტემის სხვა რგოლებს [4; 6; 11; 13] და ასეთნაირად ხდება ზემოქმედება კაპიტალის ბაზრის კონიუქტურის ცვლილებაზე. საკრედიტო რეგულირების საბოლოო მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური კონიუქტურის ცვლილებაზე ზემოქმედება, დაბალანსებული სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, ინვესტირების და მომხმარებლების მხრიდან ადეკვატური რეაქციის გამოწვევის მიზნით. ცენტრალური ბანკის მიერ უზრუნველყოფილი ეკონომიკური ლიკვიდობის შესაძლებლობები ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას პროცენტის ნორმებზე, ეკონომიკურ აქტიურობაზე და ფასობრივი ინფლაციის დონეზე. ლიკვიდობის მაღალი დონე და პროცენტის დაბალი რეალური ნორმა (ნომინალური ნორმა მინუს ინფლაციის მოსალოდნელი დონით განპირობებული მაჩვენებელი) ჩვეულებრივად ასტიმულირებენ კერძო პირების დანახარჯებს საქონელზე და მომსახურებაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის ეკონომიკური აქტიურობის დონეს და ახდენს ზეწოლის ფასების ზრდაზე საქმიანი ციკლის სტადიის შესაბამისად. ფასების დონე საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობის მიხედვით სტატისტიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული ფულის შეთავაზების საერთო მაჩვენებელთან [4, გვ. 91]. სტიმულირებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია საგრძნობლად დააქვეითოს პროცენტის ნორმა და გაზარდოს წარმოება, მაგრამ ეს ეფექტი ჩვეულებრივად დროებითია და ტრანსფორმირდება საწინააღმდეგო ეფექტში ვერტიკული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ეს იმით არის განპირობებული, რომ იზრდება ინფლაცია და საინფლაციო მოლოდინი და კრედიტორები აქტივების დასაცავად მოითხოვენ პროცენტს უფრო მაღალ ნორმებს. ინფლაციის გაზრდილი დონე და დასების მრავალფეროვნება იწვევს უფრო მეტ გაურკვევლობას ეკონომიკური სისტემაში, უარყოფითი გავლენით ინვესტიციურ აქტიურობაზე, მწარმოებლურობაზე და ეკონომიკურ ზრდაზე.

ცნობილია, რომ ნებისმიერ მთავრობას უჩნდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის და სხვა მოკლევადიანი მიზნების დასაფინანსებლად ცენტრალური ბანკიდან ან მისი მხარდაჭერით კონკრეტული ბანკებიდან გაუმართლებელი სესხების აღების სურვილი. ამიტომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელი უნდა იყოს მთავრობისაგან (ეს, აგრეთვე, საჭიროა იმისათვის, რომ მთავრობამ და გააკონტროლოს ფულის ემისია) [2, გვ.31; 3; 4; 6, გვ.90-94]. ცენტრალურ ბანკს სტრუქტურული გარდაქმნის რეგულირებაშიც ენიჭება მნიშვნელოვანი როლი. სწორედ ცენტრალური ბანკები წარმართავენ სტრუქტურულ გარდაქმნას ვეროპის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ისინი მოქმედებდნენ რა მკაცრი დირექტივებით კონკრეტული ბანკებისათვის (სასრების სამისამართო განაწილება, შეღავათები, აკრძალვები და ა.შ.), განაპირობებდნენ საფინანსო ნაკადების მიმართვას პრიორიტეტული მიზნებისაკენ. ასევე მოქმედებდა სახელმწიფო საგადასახდო პოლიტიკაც და მხოლოდ შემდეგ, სტრუქტურული გარდაქმნების წარმატებისას, სახელმწიფო ამსუბუქებდა კოორდინაციის სიმკაცრეს [12, გვ.10].

ქვეყნების უმრავლესობაში ცენტრალური ემისიური ბანკები ასრულებენ ემისიური ცენტრის როლს, რომელიც პასუხისმგებელია ფულის მეურნეობაზე, საკრედიტო ცენტრის (ბანკების ბანკის) და სახელმწიფო მოლარის ფუნქციას. ცენტრალური ბანკის ზემოქმედება კონკრეტული ბანკების საქმიანობაზე შეიძლება ხორციელდებოდეს უშუალოდ ეკონომიკური, უმეტესად არაპირდაპირი, ან ეკონომიკურ-ადმინისტრაციული პირდაპირი (მაგალითად, დაკრედიტების ლიმიტების

და ვადების, სესხების ცალკეული სახეების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დადგენა) მეთოდებით. საკრედიტო რეგულირება მოიცავს აღნიშნულ მეთოდების ისეთ ერთობლიობას, რომელთა შერჩევა დამოკიდებულია რეგულირების მიზანზე და ობიექტებზე. იგი აგრეთვე დამოკიდებულია საზაზრო ურთიერთობების განვითარების დონეზეც. კომერციულ ბანკებზე შემოქმედების პროცესში რეგულირების ობიექტებად გვევლინებიან კრედიტის გამოყენების განსაზღვრული მაკროეკონომიკური მახასიათებლებიც, რომლებიც ერთის მხრე, ახდენენ გავლენას ეკონომიკაზე, ხოლო ?კორეს მხრე კი საბანკო სისტემის ლიკვიდობის დონეზე. ამასთან, არაპირდაპირი რეგულირების ობიექტია არა თვით კომერციული ბანკების საქმიანობა და მისი მიმართულებები, არამედ ზეგავლენა ბანკების ქცევის მოტივაციაზე (დაბანდების მომგებიანობის, ლიკვიდობის და სიმედიობის უზრუნველყოფის მოტივები), ე.ი. - ზეგავლენა ბანკების ფუნქციონირების პირობებზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეთოდები შეიძლება აგრეთვე დავყოთ საერთო და-სელექტურ' მეთოდებად. საერთო მეთოდების მოქმედება, რომლებიც უპირატესად არაპირდაპირია, ვრცელდება მთელ საკრედიტო ბაზარზე. სელექტური მეთოდების გამოყენება, რომლებიც პირდაპირია, ეხება კრედიტის კონკრეტულ სახეებს და დაკავშირებულია კერძო ამოცანების გადაწყვეტასთან. სელექტურ მეთოდებს მიეკუთვნება, მაგალითად, საბანკო კრედიტების ლიმიტირება, სესხების ცალკეული სახეების გაცემის რეგლამენტირება, დაბალრენტბეზული საწარმოების დაკრედიტებაზე მიმართული კომერციული ბანკების ოპერაციების შეღავათიანი პირობებით რეფინანსირება და ა.შ. კომერციული ბანკების საქმიანობაზე შემოქმედება სელექტური მეთოდების მეშვეობით ხდება უპირატესად 'ციკლური დაცემის' სტადიაზე (აღწარმოების პროცესთა მკვეთრი დარღვევების დროს). ამ შემთხვევაში, ეკონომიკურ პოლიტიკაში, ერთდროულად შერწყმულია ფულად-საკრედიტო ურთიერთობების საერთო მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებისა და სტრუქტურული მნიშვნელობის ზომების გამოყენება, რომლებიც მიმართულია ინვესტიციების წახალისებაზე შერჩეულ, პრიორიტეტულ დარგებში [4, გვ. 36].

ყველაზე გავრცელებული საერთო მეთოდებია: სააღრიცხვო (სადისკონტო) პოლიტიკა, ოპერაციები ღია ბაზარზე, ბანკების სავალდებულო რეზერვების ნორმების ცვლილება. საერთო კლასიფიკაციის ჩარჩოებში ცალკეული ცენტრალური ბანკები იყენებენ სხვა ნაირსახოვან მეთოდებსაც. ზოგიერთი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ თავიანთი სესხების ზომების რეგულირებას, როგორც ამას ადგლი ჰქონდა იაპონიაში. ეს საკითხი კანადაში გადაწყვეტილია პირიქით. იქ საბანკო სისტემაში სამთავრობო ანაბრების სხვადასხვა ვარიანტების გამოყენება წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს [6, გვ. 95]. შემოქმედების ღონისძიებათა არსენალში, აგრეთვე, შედის კომერციული ბანკების მიერ თავისი საშუალებების ნაწილის სავალდებულო შენახვაც სპეციალურ სარეზერვო ანგარიშზე ცენტრალურ ბანკში. ამ დებოზიტების მოცულობა გამოიანგარიშება დადგინილი პროცენტის მიხედვით კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრების შესაბამისად. ზოგიერთ ქვეყანაში განცალკევებულად დგინდება პროცენტები ვადაიანი და უვადო ანაბრების მიხედვით [13, გვ.68,69].

აღნიშნული კლასიფიკაციის ფარგლებში ყველა ქვეყანაში კომერციული ბანკების საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირდება. მაგალითად, აშშ-ში კომერციული ბანკები მიეკუთვნებიან საეწარმოო საქმიანობის ყველაზე კონტროლირებად სფეროს. მათი საქმიანობა ხშირად მოწმდება კონტროლის და რეგულირების ორგანოების მიერ. შემოწმებას გააჩნია ის მთავარი მოთხოვნა, რომ ოპერაციები ხორციელდებოდეს მოქმედი კანონებისა და აღმინისტრაციული აქტების შესაბამისად. კონტროლის და შეზღუდვების მიმართულებები შეიძლება შემდგენიარად დაჯგუფდეს: შეზღუდვები საქმიანობის გაფართოებაზე განყოფილებების შექმნის ან

შერწყმის გზით; კონკურენტული ბრძოლის შეკავება შემოსავლიანი აქტივების შექმნის სფეროში, ასეთი აქტივების შესყიდვის აღკვეთის ან შეზღუდვის გზით, როგორც მოცულობის, ასევე შემადგენლობის მიხედვით; ბანკების კონკურენტუნარიანობის შეზღუდვები სახსრების (საშუალებების) მოზიდვაში (ანაბრებზე მოკითხვამდე პროცენტის გადახდის აღკვეთა, პროცენტის უკიდურესი ზომის დადგენა ვაღიან-ან-შემანახველ ანაბრებზე; სავალდებულო რეზერვების ნორმების დადგენა ანაბრებზე მოკითხვამდე და ვაღიან ანაბრებზე; მოთხოვნები საბანკო კაპიტალის მიმართ) [14, გვ.57, 58]. სხვა ქვეყნებში მოქმედებენ შეზღუდვების და კონტროლის განსხვავებული სისტემები, როგორც ცენტრალური ბანკების, ასევე სპეციალური სახელმწიფო ორგანოების მხრიდანაც.

სააღრიცხვო (სადისკონტო) განაკვეთის რეგულირება სახელმწიფო ზეგავლენის ოპერატიული ინსტრუმენტია სასესხო კაპიტლის ბაზარზე, რადგან იგი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით შეიძლება იცვლებოდეს წლის განმავლობაში. მისი ცვლილებით ცენტრალური ბანკი—ახდენს—სწრაფ გავლენას საბანკო მოგებაზე. საერთოდ სასესხო პროცენტის დონე დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: სადისკონტო განაკვეთი, კადა, რომლითაც გაცემულია სესხი, გირაოთი უზრუნველყოფილი (ან სალანკო) სესხი, სესხის ამღების პიროვნება, ინფლაციის ტემპები და როგორც ინფლაციის, ასევე საერთო კონიუქტურის განვითარების პერსპექტივები. ასეთი მაჩვენებლები განსაზღვრავენ პროცენტის ფორმირების ზონას, ხოლო პროცენტის დონე ამ ზონაში განისაზღვრება ფულზე მოთხოვნის და შეთავაზების თანაფარდობით, რაზეც მოქმედებს სადისკონტო განაკვეთის ცვლილება. მაშასადამე სააღრიცხვო განაკვეთის ცენტრალიზებული რეგულირება აძლევს განსაზღვრულ მიმართულებებს კრედიტის პრაიზონტალურ (ბანკი - სესხის ამღები) და ვერტიკალურ (ცენტრბანკი - კომერციული ბანკი) მოძრაობებს\* [6, გვ.37]. ცენტრბანკის მიერ სადისკონტო განაკვეთის ცვლილება იწვევს საპასუხო რეაქციას კომერციული ბანკების მხრიდან, რომელიც გამოიხატება შეთავაზებული რესურსების მოცულობის ცვლილებაში (ზრდაში ან შემცირებაში), რაც არეგულირებს მათზე მოთხოვნას. ცენტრალური ბანკი აცხადებს სადისკონტო განაკვეთს იმ ბანკებისათვის, რომლებსაც უნდათ თავისი სათამაშუო პორტფელის ნაწილის აღრიცხვა და ფულის მიღება, ხშირად თავისი ლიკვიდობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. სადისკონტო განაკვეთი ყველაზე დაბალია, რადგანაც ბანკი კლიენტების თამაშულების აღრიცხვისას უნდა იღებდეს უფრო დიდ პროცენტს.

სააღრიცხვო პროცენტის განაკვეთის გაზრდა იწვევს საბანკო რესურსების გაძვირებას, ამცირებს მათი ოპერაციების მომგებიანობას. კომერციული ბანკები ამაზე რეაგირებენ კრედიტის მოცულობის შეზღუდვით, რაც ხელს უწყობს მის გაძვირებას. ამასთან, ბანკის მოგება ან გაიზრდება, ან დარჩება იმავე დონეზე. სააღრიცხვო განაკვეთიდან გამომდინარე განისაზღვრება განაკვეთები, რომლებსაც კომერციული ბანკები იღებენ მოცემულ სესხებზე და უხდიან მენაბრებებს დეპოზიტების და სხვა მიღებული ანგარიშების მიხედვით. სადისკონტო განაკვეთის აწვევა (ანტიინფლაციური ან სხვა მიზნებით), ე.ი. 'ძვირი ფული' პოლიტიკა, ზღუდავს კომერციული ბანკების მიერ ცენტრბანკში სესხის მიღების შესაძლებლობებს და ერთდროულად ზრდის იმ ფულის საფასურს, რომელსაც კომერციული ბანკები აძლევენ კრედიტის სახით. ამის შედეგად, ეკონომიკაში მცირდება კრედიტის განთავსება და, მაშასადამე, ხდება წარმოების ზრდის შეკავება. სადისკონტო განაკვეთის შემცირება კი ('იაფი ფული' პოლიტიკა), პირიქით, ახდენს საკრედიტო ოპერაციების გაფართოების და ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებას.

სააღრიცხვო პროცენტის ზრდა - არაა საკრედიტო რესურსების გაძვირების ერთადერთი ხერხი. შეიძლება გამოყენებულ იყოს საპროცენტო განაკვეთების ზემო ზღვრები ან დაკრედიტების ზემო ზღვრები [11, გვ.61].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ამჟამად ფულად-საკრედიტო ბაზრის მართვაში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ბიუროკრატიული კოორდინაციის შემსუბუქების ტენდენცია საბაზრო კოორდინაციის სასარგებლოდ. ეს ეხება აგრეთვე კრედიტის პროცენტის რეგულირებასაც. მაგალითად, ა. გრინსპენი წერს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის უქონლობის პირობებში (რასაც ამჟამად ჩვენთანაც აქვს ადგილი) ცენტრალური ბანკები უფრო ხშირად-დეგრანდობიან საპროცენტო განაკვეთების და კომერციული ბანკების აქტივების და პასივების შემადგენლობის და დონის პირდაპირ კონტროლს და მას მოაქვს არასასურველი შედეგები. საკრედიტო შეზღუდვებს ხშირად ემატება სუბსიდიების სისტემა ეკონომიკის ცალკეული დარგების დაკრედიტების ხელშეწყობისათვის. ზოგჯერ დგინდება საპროცენტო განაკვეთების ზემო ზღვრები იმ სესხებზე, რომლებიც ეძლევა ეკონომიკის წინასახლისებელ დარგებს. აშშ-ში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, არსებობდა იმ საპროცენტო განაკვეთების ზემო ზღვრები, რომლებსაც იხდიდნენ სხვადასხვა ტიპის სადენვალტო ანგარიშების და სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტების მიხედვით. რაოდენობრივი კონტროლის და პროცენტის ნორმის კონტროლის ძირითადი ნაკლია ის, რომ ასეთი კონტროლი იწვევს ფასების გადახრებს და რესურსების განთავსება ხდება არასასურველი მიმართულებით [6, გვ.97].

მაგრამ მიუხედავად მსოფლიოში არსებული ტენდენციებისა, ქვეყანაში საკრედიტო ურთიერთობების განუვითარებლობის პირობებში უარის თქმა კრედიტის პროცენტის რეგულირების მკაცრი მეთოდების გამოყენებაზე გამოიწვევს ახალი ტიპის სპეკულაციების მასიურ გაჩენას სასესხო კაპიტალის ბაზარზე და მას, იმის გარდა, რომ დაიკარგება სტრუქტურული გარდაქმნის მართვის მნიშვნელოვანი ბერკეტის გამოყენების შესაძლებლობა, მოჰყვება ბევრი ნეგატიური შედეგი. ამიტომ საკრედიტო ურთიერთობების განვითარების და სასესხო კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი უნდა ხორციელდებოდეს მკაცრი კონტროლის ქვეშ, რაც აღსატურებს მრავალი ქვეყნის გამოცდილებაც. კრედიტის ფასის შედარებით მკაცრი რეგულირების პირობებში, სასაქონლო ბაზარზე ფასების გადახრების თავიდან აცილებისათვის, საჭიროა მიემართოთ ფასწარმოქმნის კოორდინაციის შესაბამის მეთოდებს, რომლებიც გამოიყენებოდა და ზოგიერთი ახლაც გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში, თუ, რა თქმა უნდა, ამას მოითხოვს ეკონომიკური კონონტურა.

ამ პირობებში ცენტრალური ბანკის წინაშე, ხანდახან, დგება საპირისპირო ამოცანები: ფულის ბრუნვის რეგულირება და ზემოქმედება კრედიტზე (ამის უკან კი დგას ეროვნული ფულის კურსის დაცვა და საქმიანი აქტიურობის რეგულირება) ისეთნაირად, რომ არ ხდებოდეს კურსის მკვეთრი მერყეობა და ამ უკანასკნელმა არ მიაყენოს ზარალი ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ ცენტრალურმა ბანკმა, განსაზღვრული საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას, უნდა გაითვალისწინოს შედეგები ფულადი მეურნეობის სფეროში [13, გვ.70].

ფულად-საკრედიტო რეგულირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო მეთოდია ცენტრბანკის ოპერაციები ღია ბაზარზე, რაც წარმოადგენს წინასწარ დადგენილ კურსით ფასიანი ქაღალდების, მათ შორის სახელმწიფო (რომლებიც წარმოშობენ სახელმწიფო ვალს), შესყიდვას და გაყიდვას. ეს ითვლება საკრედიტო დაბანდების და კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ყველაზე მოქნილ მეთოდად. ოპერაციები თავისუფალ ბაზარზე უფრო ხშირად ეხება სახელმწიფო ვალს, მაგრამ მათი განხორციელება შეიძლება აგრეთვე კერძო საფინანსო ინსტრუმენტების გამოყენებით და აგრეთვე უცხოური ვალუტითაც. როგორც, მაგალითად, შვეიცარიაში [6, გვ.95]. ამჟამად, ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობა, ძირითადად ენდობა ოპერაციებს ღია ბაზარზე [6, გვ.95]. ცენტრბანკის ოპერაციები ღია ბაზარზე ახდენენ პირდაპირ ზემოქმედებას კომერციული ბანკების თავისუფალი რესურსების მოცულობაზე, რაც სტამბულს

აძლევს საკრედიტო დაბანდებების გაფართოებას ან შემცირებას, ბანკის ლიკვიდაციაზე ერთდროული გავლენით (შესაბამისად ლიკვიდაობის გაზრდით ან შემცირებით). ცენტრალური ბანკები სთავაზობენ კომერციულ ბანკებს, რომ მათ შეისყიდონ საბანკო თამასუქები კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების შემცირების მიზნით, ან თვით შეისყიდონ მათგან ფასიან ქალაქებს საკრედიტო აქტიურობის - სტიმულირების - და - სასესხო - პროცენტის - შემცირების მიზნით, რადგანაც ამ გზით გაიზარდება სასესხო კაპიტალის შეთავაზება. ეს ზემოქმედება ხორციელდება ცენტრბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ფასიანი ქალაქების გასაყიდი ან შესასყიდი ფასის ცვლილებების მეშვეობით. მაგალითად, თუ საჭიროა ფულადი ბაზრიდან საკრედიტო რესურსების უკუდენის მიღწევა (რესტრუქციული პოლიტიკის განხორციელების დროს), ცენტრბანკი ამცირებს გაყიდვის ფასს ან ზრდის შესყიდვის ფასს, ა ამით ზრდის ან ამცირებს მათ გადახრას საბაზრო კურსისგან.

ღია ბაზარზე აქტიური ოპერაციების განხორციელება, საკრედიტო ურთიერთობების რეგულირების მიზნით, შეუძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, კომერციულ ბანკებს არა აქვთ დირექტრეხება სახელმწიფო ფასიანი ქალაქების შესყიდვაში. ასეთი დირექტრეხების გაჩენისათვის სახელმწიფო ფასიანი ქალაქების შემოსავლიანობა არ უნდა ჩამორჩებოდეს კომერციული ბანკების ძირითადი აქტიური ოპერაციების შემოსავლიანობას. საკრედიტო რეგულირებაში ღია ბაზარზე ოპერაციების მნიშვნელობის გამო მიზანშეწონილია, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ისეთი მექანიზმი, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნება გარანტირებული სახელმწიფო ფასიანი ქალაქების საკმაო რაოდენობით გამოშვება კომერციული ბანკების მიერ ობლიგაციების შესყიდვის სტიმულირებას და მამასადამე ღია ბაზარზე ცენტრალური ბანკის ოპერაციების განვითარებას ხელს შეუწყობდა, აგრეთვე, ბანკების სავალდებულო რეზერვების ნაწილის ფორმირება სახელმწიფო ფასიანი ქალაქებით [6, გვ.38, 39].

ცენტრბანკის მინიმალური ან სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები წარმოადგენს მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კომერციული ბანკების თავისუფალი რესურსების მოცულობაზე ზემოქმედების გზით. სავალდებულო რეზერვების ნორმის მომატება (შემცირება) ამცირებს (ზრდის) კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს და, მამასადამე, აქტიური ოპერაციების გატარების უნარიანობას. მაგრამ ეს ინსტრუმენტი განსხვავებით ღია ბაზარზე ოპერაციების რეგულირებისაგან, არაა მოქნილი და გამოსაყენებელი სასესხო კაპიტალის მიმდინარე ოპერაციების რეგულირებისათვის. ეს უმთავრესად, გამოწვეულია იმით, რომ სავალდებულო რეზერვების ნორმების უმნიშვნელო მერყეობაც კი იწვევს არსებით ცვლილებებს საკრედიტო ოპერაციების მოცულობაში. ამიტომ სავალდებულო სარეზერვო ნორმები ცენტრბანკის მიერ გამოიყენება კომერციული ბანკების საქმიანობის გრძელვადიანი რეგულირების მიზნით და გადაიხინჯება რამდენიმე წელიწადში ერთხელ და ისიც მხოლოდ ფულის მასის დინამიკაში და მოცულობაში კორექტივების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში [7, გვ.39]. მინიმალური რეზერვების პოლიტიკა ჩვეულებრივად დღგრეცტიკობულია ბანკების მიერ აკუმულირებულ რესურსების სახეობების და სამუშაოების მოზიდვის ვადის მიხედვით. ლიკვიდაობის უზრუნველსაყოფად კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან რამდენიმე კოეფიციენტი. ხშირად გამოიყენება თანაფარდობის კოეფიციენტები ოპერაციების ცალკეული კატეგორიების მოცულობასა და ბანკის საკუთარ კაპიტალს შორის. მაგალითად, გაცემული კრედიტების მოცულობა არ შეიძლება 7,5-ჯერ აღემატებოდეს ბანკის კაპიტალს, ხოლო დეპოზიტების მოცულობა - 11-ჯერ აღემატებოდეს კაპიტალს. არსებობს შეზღუდვები ერთ კლიენტზე გაცემულ ხესზე (საკუთარი სახსრების არა უმეტეს 10% აშ.შ.შ.) და ერთი კლიენტის ანბანრების ოღენობაზე [13, გვ.68].

ნორმირების გზით ბანკების გადახდისუნარიანობის დაცვაზე ზრუნვამ მიიყვანა დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველები ბაზელის შეთანხმებამდე, რომელიც საერთო ნორმატივად ამტკიცებს ბანკების საკუთარი სახსრების კოეფიციენტს. ბანკების რეგულირებისა და ზედამხედველობის მეთოდების იაზულის კომიტეტმა მიიღო კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ხუთთა პრინციპები; რომელიც ორიენტირებულია 7,25%-ზე [1, გვ.27,28]. საკუთარი საშუალებების შემადგენლობაში შედის სააქციო კაპიტალი და განცხადებული რეზერვები (მაგრამ განცხადებული რეზერვების გაანგარიშების მეთოდი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია). მიზანშეწონილია (და ეს რეკომენდებულია აღნიშნული შეთანხმებით), რომ ბანკის საკუთარი სახსრები შეფარდებული იყოს აქტივების (და არა საბალანსო ვალდებულებების) რისკის სხვადასხვა კატეგორიებთან საშუალოდ შეწონილი რისკის დაფარვის კოეფიციენტით. რომელიც დგინდება რისკის სახეობების მიხედვით. შეიძლება ნორმა იყოს დიფერენციური ბული მიხედვით კრედიტების—და მონიღელი სახსრების (ე.ი. ანაბრების) ვალიანობის მიხედვით, გარეთვე მათი მოცულობის შესაბამისად.

საკრედიტო მექანიზმის ავანთარების უზრუნველსაყოფად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს საბანკო დაკრედიტების გაფართოება იმ დონემდე, რომელიც საჭიროა მთელი მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის; ამ დროს დაეშვებოდა საკრედიტო ექსპანსია საბანკო პროცენტთან მიმართებაში; საკრედიტო რისკისებზე უნდა უზრუნველყოფილი იყოს არა სექსუალის, არამედ წარმოების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა; უნდა გაფართოვდეს ბანკების შესაძლებლობები კრედიტების დაფინანსებაში უნდადლო ემისიის ხარჯზე; უფრო ელასტიკური უნდა გახდეს თანაფარდობა ბანკების საკუთარ საშუალებებსა და მათ აქტიურ და პასიურ ოპერაციებს შორის, მაგრამ ლიკვიდობის ნორმატივები განსაზღვრული უნდა იქნეს კრედიტების და დეპოზიტების სახეობების მიხედვით.

ბანკის პროცენტი (განსაკუთრებით გრძელვადიან დაკრედიტებაში) უნდა იყოს შეზღუდული დონით, რომელიც მისაღებია მეურნეობის ძირითადი დარგებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის და აჯარული სექტორებისათვის. ამასთან, პრიორიტეტულად გამოცხადებული მიმართულებებისათვის უნდა დადგინდეს კრედიტის პროცენტის ზემო ზღვრები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან კომერციული ბანკებისათვის იმ პროცენტის სხვაობის ანაზღაურებით, რაც წარმოიშობა კრედიტის საბაზრო ფასთან გადახრით. ამასთან, ეს წესი არ უნდა ვრცელდებოდეს იმ კომერციულ (უნივერსალურ, ინვესტიციურ) ბანკებზე, რომლებსაც წარმოებაში მონაწილეობის, ე.ი. შესაბამისი აქციების შეძენის, უფლება აქვთ). ცენტრალურმა ბანკმა მკვეთრად უნდა განსაზღვროს ლიმიტები და დაკრედიტების ძირითადი მიმართულებები ყოველი კომერციული ბანკისათვის. ე.ი. ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ღონისძიებები საპროცენტო განაკვეთის, კრედიტის საერთო მოცულობის და კრედიტის მიმდების წრის რეგულირებაში ისე, რომ ერთის მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს პრიორიტეტული მიმართულებების სწრაფი განვითარება და შესაბამისი სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება, ხოლო მეორეს მხრივ, არ გაძლიერდეს ინფლაციური პროცესები და დატული იყოს პროპორციები ფასების შორის. ამ მიზნების უზრუნველსაყოფად უნდა დაწესდეს სათანადო კონტრალი კომერციული (უნივერსალური, ინვესტიციური) ბანკების მიერ დაკრედიტების პრიორიტეტულობის და შედავითანობის შესახებ (რეგონების, დარგების) კრილიში, საბუთების ბრუნვის ნორმალური ვადების დაცვის მიმართ) ცენტრალური ბანკის დირექტივების აუცილებელ შესრულებაზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გარეშე, მათ შორის და განსაკუთრებით მოკლევადიანი სახაზინო და კომერციული (სავაჭრო) თამასუქების ჩათვლით, შეუძლებელია ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო პოლიტიკის ისეთი

მნიშვნელოვანი ბერკეტების გამოყენება, როგორცაა თამასუქების გადაღორცხვა და ოპერაციები ღია ბაზარზე.

საქონლის გაყიდვა, გადახდის განვადება, შესრულებული გარიგებების შესაბამისად სავაჭრო ფულის (თამასუქების) ემისია და მათი შემდგომი მოძიება საკრედიტო-საბანკო სისტემის მეშვეობით - ასეთია გადახდის საშუალებების ემისიის ინარჩუნების მექანიზმი [12, გვ.12; 9, გვ.117]. კომერციული კრედიტის სახით, ე.ი. კორპორაციების მიერ ერთმანეთისათვის გაცემული კრედიტების თამასუქებით გაფორმებით, განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება საკრედიტო ბრუნვის დაახლოებით 2/3 ნაწილი. ამასთან, კორპორაციები ზშირად ერთმანეთს ანგარიშს უსწორებენ ინდოსამენტის ფორმით (გადასაცემი წარწერით). ამიტომ სავაჭრო თამასუქების გამოყენებისას მცირდება მოთხოვნა ბანკის კრედიტზე და ნაღდ ფულზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ანტიინფლაციურ ფაქტორს.

\*\*\*

მომსადამე, საკრედიტო რეგულირების ძირითადი მიზნების განსაზღვრისას არ შეიძლება შემოვიფარგლოთ ფასების შედარებითი სტაბილურობის მიღწევის მიზნით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების განვითარების მაკროეკონომიკური ამოცანების რეალიზაციასთან, მათ შორის მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტიურობის, სამომხმარებლო მოთხოვნის, მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებასთან და სხვა. კომერციული ბანკები და სხვა სადინანსო ინსტიტუტები ეროვნული ბანკის და სხვა სამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან რეგულირებადი ზეგავლენით დაყენებული უნდა იყვნენ ისეთ პირობებში, რომ თავისი საქმიანობის პარამეტრების შესაბამისი განსაზღვრით (თანაფარდობა სხვადასხვა ტიპის კრედიტის საფასურებს შორის, შედეგადად კრედიტის გაცემა, ინსტიტუციური რეორგანიზაციები გამსბილებლისა, საშუალებების კონცენტრაციისა და უფრო ეფექტური გამოყენების საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის სახეობების დივერსიფიკაციისათვის და სხვა) მოახდინონ წარმოებაზე, მოხმარებაზე, ინვესტიციებზე ისეთი ზეგავლენა, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად. ეს ნიშნავს, რომ მიზნების დასახვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის მიღწევის მოთხოვნები, არამედ წარმოების განვითარების ფუნქციონალური მიზნები. ამით საბანკო სისტემის განვითარების, ინტერესები შეხამებული იქნება წარმოების განვითარების მიზნებთან. ამიტომ ეკონომიკური ზრდის დაქარბებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გარღვევის უზრუნველსაყოფად გამოიყენება საკრედიტო რეგულირების უფრო მაკრო მეთოდები, უფრო ნიარსახოვან მიზნებზე რეგულირების ორიენტაციით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მონეტარული თეორიით.

კრედიტის მარეგულირებელი მექანიზმის განვითარების ყოველი ეტაპისათვის და მახასიათებელია ბიუროკრატიული და საბაზრო კოორდინაციის ისეთი შეხამება, რომელიც შესაბამისაა ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბებულ მაკრო და მიკრო ღონებების ძალების განსაზღვრულ შეფარდებას. მაგარამ, თუ განვითარებული ქვეყნებისათვის 80-90-იან წლებში კრედიტის მართვაში ნიმანდობლივია მაკროდინის და შესაბამისად საბაზრო კოორდინაციის როლის გაძლიერება, საქართველოში ამ სფეროში ვერაჭრობით უნდა დავაყენოთ საკითხი მხოლოდ მაკროდინისა და ბიუროკრატიული კოორდინაციის უპირატესობაზე. თუმცა, ამ დროს არ შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების უგულვებლყოფაც. ამ მხრივ განსაკუთრებით იგულისხმება ისეთი ნიშანდულებები, რომლებიც ვეაძლევენ საკრედიტო რესურსებით უფრო მოქნილი მანეჯირების, საკრედიტო სისტემაში მათი მოზიდვის სრულყოფისა და საწარმოო სფეროში მათი უპირატესი განთავსების შესაძლებლობებს (საქმიანობის უნივერსალიზაცია, დივერსიფიკაცია, სხვადასხვა ტიპის სადინანსო დაწესებულებების შექმნა, თუ ამით ხდება წარმოების სადინანსო

რესურსებით მოამარაგების სრულყოფა), აჩაღებენ კონკურენციას წარმოებაში საფინანსო რესურსების განთავსებისათვის.

ქვეყანაში საკრედიტო ურთიერთობების განვითარება და სასესხო კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბება უნდა ხორციელდებოდეს მკაცრი კონტროლის ქვეშ. ეროვნული ბანკის მხრიდან უნდა ხდებოდეს კრედიტის ფასის შედარებით მკაცრი კოორდინაცია. სწორედ ამას იდასტურებს მსოფლიო გამოცდილება და ამასვე მოითხოვს საქართველოს ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში დღეისათვის შექმნილ სიტუაცია.

#### ლიტერატურა

1. Аляутдинов Р. Регулирование банковской деятельности, - РЭЖ, N12, 1994.
2. Бернгольд П. Собственность, рынок и деньги: пути реформ, - ВЭ, N12, 1990.
3. Василишэн Э. Независимые центробанки и монетарная политика в странах рыночной экономики, - РЭЖ, N10, 1993.
4. Василишэн Э. Центробанк и коммерческие банки в новой кредитной системе, - РЭЖ, N12, 1993.
5. Выборнова Н. Роль коммерческих банков в стабилизации экономики, - ВЭ, N12, 1991.
6. Гринспэн Алан. Коммерческие банки и центральный банк в рыночной экономике, - ВЭ, N12, 1991.
7. Дадаян В. Что делать с располагающейся российской экономикой, - РЭЖ, N10, 1993.
8. Евстигнеев В.Р. Эволюция мировой валютно-кредитной системы и ее воздействие на экономику России, - Финансы, N7, 1993.
9. Маневич В.Е. О законсервациях становления рынка, - ВЭ, N3, 1993.
10. Ноздрань Н., Березин И. Денежные агрегаты: теория и практика, - ВЭ, N6, 1993.
11. Носкова И.Я. Денежно-кредитное регулирование и рынок ссудных капиталов, - Финансы, N12, 1992.
12. Перламутров В.И., Маневич В.Е., Евстигнеева Л.П. и др. Целью антикризисно-реформационного процесса должно стать социальное рыночное хозяйство, - РЭЖ, N4, 1993.
13. Пятненко В. Банки: противоречия и возможные решения проблем, - ВЭ, N12, 1991.
14. Рид Э., Котгер Р. и др. Коммерческие банки, - М., 1987.
15. Рузавина Е., Шеховцева Н. Венчурный капитал и инновации, - РЭЖ, N7, 1992.



## The Ways of Monetary Regulation of Georgia in Transition Period to Market Economy

Burduli Vakhtang, Tsereteli George  
P.Gugushvili Institute of Economics  
The Georgian Academy of Sciences  
14, Kikodze Str., Tbilisi, 380007  
Georgia

**Summary.** The authors show that the monetary regulation process and purposes should not be limited only by the theory to achieve of relative stable prices on the basis of monetary aggregates corresponding control, since the practice has shown that without the monetary regulation orientation on other aims too, that are directly co-ordinated with parameters of material production, this regulation is a failure. In the course of sufficiently long time together with the orientation on maintenance of relatively stationary prices the monetary regulation must be oriented on the realization of technological progress achievement to production, application of resource-saving technologies, development of export-oriented and other aims the realization of which is required for the given stage of the country economic development. This strategy will ensure the co-ordination and synchronization of monetary regulation instrument with other ones, co-ordination of generation system of monetary and credit resources with material production regulation.

The authors show that the mechanism of regulation of commercial banks and other financial institutes activity by the Central Bank must be directed on the realization of aforesaid totality of aims so that they will be induced to such definition of parameters of their activity (the price of various kinds of credit, institutional reorganization, diversification or vice versa restriction of activity) that are ensured the decision of economic and social problems by most expedient and thrifty ways of management of financial resources. The authors show that when defining the action of credit regulation basic instruments direction (discount policy, open-markets operations, regulation of legal minimum reserve etc.) it is necessary within the limits of the possible to take into consideration the contemporary tendencies, but also it is necessary to take into consideration the countries' experience (both post-war and 70-80 years), wherein the credit system was being in state of formation in the definite time, or the scarcity of financial resources was taking place for real investment, or the problems of renovation of economy and the large penetration into foreign market definite segments was being solved on the basis of export potential priority development in the selected sectors of national economy.

## Пути денежно-кредитного регулирования в Грузии в переходный на рыночную экономику период

Бурдули Вахтанг, Церетели Георгий  
380007 Тбилиси, ул. Кикодзе 14  
Институт экономики им. П.Гугушвили  
Академия Наук Грузии

**Резюме.** В статье показано, что процесс и цели денежно-кредитного регулирования не должны ограничиваться только монетаристской теорией и достижением относительной стабилизации цен на основе соответствующего контроля денежных агрегатов, поскольку опыт показал, что без ориентации денежно-кредитного регулирования также и на цели, которые непосредственно увязаны с параметрами материального производства, такое регулирование успеха не приносит. Вместе с ориентацией на сохранение относительной стабилизации цен в течение достаточно длительного периода времени, денежно-кредитное регулирование должно быть ориентировано также на реализацию в производстве достижений НТП, внедрение ресурсосберегающих технологий, развитие импортоориентированных и других приоритетных производств и другие цели, реализация которых необходима на данном этапе развития страны. Это обеспечит согласование и синхронизацию механизма денежно-кредитного регулирования с другими инструментами, взаимоувязку системы генерирования денежно-кредитных ресурсов с регулированием материального производства.

Показано и обосновано, что на реализацию такой совокупности целей должен быть направлен механизм регулирования национальным банком деятельности коммерческих банков и других финансовых институтов, с тем, чтобы побудить их к такому определению параметров своей деятельности (цена различных видов кредита; институциональные преобразования, диверсификация или, наоборот, ограничение сфер деятельности), которая обеспечит решение экономических и социальных задач при наиболее целесообразных и экономичных способах распоряжения финансовыми ресурсами. Показано, что при определении направления действия основных инструментов кредитного регулирования (политика регулирования учетного процента, операции на открытом рынке, регулирование норм обязательных резервов и др.) необходимо в допустимой мере учитывать современные тенденции, но также необходимо учитывать опыт стран (как послевоенный, так и 70-80 годов), кредитная система которых в свое время находилась в состоянии становления, или испытывала нехватку финансовых ресурсов для производственного инвестирования, или решались задачи модернизации экономики и широкого проникновения в определенные сегменты мирового рынка на основе приоритетного развития импортного потенциала в избранных секторах национальной экономики.

## წესები ავტორთათვის

1. ჟურნალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მაცნე" ეკონომიკის სერია, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე მოწინავე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე იმ კონფერენციების, სხდომებისა და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები, რომლებიც რუსულბოკაში ტარდება.

2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ, თანაავტორობის შემთხვევაში კი - ყველა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ტელეფქსის, ტელექსის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდი ტექსტის 24 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 2 ინტერვალთ. მარცხენა მხარეს დატოვებული უნდა იყოს 4 სმ სივანის მინდორი.

რეზიუმე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახატების მინაწერები სრულდება ცალკე ფურცელზე.

მოკლე მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ეგზემპლარად. ხელნაწერს ყოველი გვერდი, ლიტერატურის სიის ჩათვლით, უნდა იყოს დანომრილი.

4. ილუსტრაციები (ორ ეგზემპლარად) ცალკე უნდა ახლდეს ნაშრომს. ნახაზები და გრაფიკები შესრულებული უნდა იყოს მაკუთონ ტუშით, კალკუზ ან მილიმეტრთან ქაღალდზე. ფანქრით შესრულებული, ტექსტში ჩახაზული, ან ხელნაწერზე დაწებებული ნახაზები არ მიიღება. აუცილებლად უნდა მიეცეს ყურადღება აღნიშვნების იდენტურობას ტექსტში და ნახაზზე. ყველა მინაწერი, რომელიც ფარავს ნახაზს უნდა შეიცვალოს ციფრობრივი, ან ასოთი აღნიშვნით, განმარტებები კი ჩამოტანილ იქნეს ნახაზის მინაწერში.

5. ყოველი ილუსტრაციის მეორე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს მისი რიგობრივი ნომერი და ავტორების გვარები.

6. ფორმულები და განმარტებები თუ ჩაწერილია ხელით უნდა შესრულდეს კარკვეით. ინდექსის ჩაწერისას კარგად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან შტრიხი, ერთიანი და მძიმე. ფორმულების ჩაწერისას კარგად უნდა ჩანდეს განსხვავება დიდ და პატარა ასოებს შორის: თუ მათ ერთნაირი მოხაზულობა აქვთ დიდ ასოს ფანქრით უნდა გაეუსვათ ხაზი ქვემოდან (მაგ. X). გამაკუთრებით ზუსტად უნდა ჩაწეროს ერთმანეთის მჭიდვით და a, l და e, u დიდ სვე.

7. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (რეცენზიებში, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს რუბრიკით კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ლიტერატურა დასახელებდა გვერდის სქოლიოში).

წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი.

საერთაშორისო სტატიისათვის - ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამომცემა).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათ მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგ. [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტულო ფურცელს.

8. ავტორთა საყურადღებოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ სტატიის ტექსტსა და ნახატებს უნდა ჰქონდეს მინაწერი დასაბეჭდად. როგორც წესი კორექტურა ავტორებს არ ეგზავნებათ.

9. სასურველია სტატიაში აღინიშნოს რითი განსხვავდება მიღებული შედეგი ადრე ცნობილისაგან.

10. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ჟურნალის ერთ-ნომერში შეიძლება ავტორის ერთი სტატიის ან ერთი მოკლე შეტყობინების გამოქვეყნება.

11. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს ავტორს ერთი ვგზემპლარი.

12. ხელნაწერები რომლებიც არ უპასუხებს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს რედაქციის მიერ არ მიიღება.

## INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal "Proceedings" of the Georgian Academy of Sciences: Economic Series publishes articles in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars etc. held in the Republic.

2. An original article sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and telex.

3. Volume of an article, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 24 typewritten lines with double spacing. On the left hand side 4 cm margins should be left.

Summary, list of references, tables and signs under illustrations should be submitted separately.

A volume of short notes should not exceed 7 typewritten lines.

Two copies of papers should be sent to the publisher. All pages of manuscripts, including references should be numbered.

4. Illustrations (two copies) should be submitted separately.

Drawings and drafts should be filled legibly with indian ink on tracing paper or squared paper. Drafts in pencils, drawn in texts or pasted onto manuscripts are not accepted. It is necessary to keep an eye on exact accordance of designations in texts and drafts. All legends, overloading drafts should be substituted by figures or letters, explanations of them should be moved to inscriptions under illustrations.

5. On the back of each illustration it's ordinal number and authors' names should be written down.

6. Formulas and designations should be handwritten by ink, legibly, large and loosely. Subindexes should be avoided as far as possible.

When marking indexes it is necessary to differ strokes and numeral-units from commas.

When writing formulas it is necessary to differentiate strictly between small and capital letters. This requirement is applied especially to the letters of the same inscription distinguishing only by their size: capital letters are underlined with line below (for example,  $\underline{X}$ ).

It is necessary to write carefully the letters looking alike (g and q, l and e, u and n etc.).

7. Literature is listed as a general list at the end of an article (in the reviews published in the section "Criticism and Bibliography" literature is given in footnotes) in the following order: books, 1st 2nd and 3rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year of publication.

Journal articles: books, 1st, 2nd, 3rd names of the author, articles' title, year of publication, volume, issue.

Literature is listed following the sequence of references in the text of an article. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic description of each title in the list of literature must correspond strictly to the title-page of a book or a journal.

8. The editorial staff calls your attention to the fact that a typed text and drawing ready for type-setting signed "ready for printing" and proof-sheets for reading, as a rule, are not sent back to authors.

9. It is advisable to mention in an article the distinctive features of the given result from all the others already known.

10. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration. In one issue of a journal only one article or one brief report of an author is published.

11. In case of a refusal to publish an article, the editorial staff reserves the right not to return one copy of an article to author.

12. The manuscripts not meeting these requirements are not taken for consideration by editorial staff.

## ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале "Известия" АН Грузии: серия экономическая публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки.

Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях, проводимых в республике.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства - всеми соавторами с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, телефаксов, телексов.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 24 страниц машинописного текста, отпечатанных через два интервала. С левой стороны оставляются поля шириной 4 см.

Резюме, список использованной литературы, таблицы и подписи к рисункам исполняются на отдельных листах.

Объем кратких сообщений не должен превышать 7 страниц машинописного текста.

Статьи представляются в редакцию обязательно в двух экземплярах. Все странички рукописи, включая литературу, должны быть пронумерованы.

4. Иллюстрации (в двух экземплярах) прилагаются к рукописи отдельно. Чертежи и графики должны быть выполнены четко, тушью на кальке или миллиметровой бумаге. Чертежи, выполненные карандашом, вычерченные в тексте или приклеенные к рукописи не принимаются. Необходимо тщательно следить за точным соответствием обозначений в тексте и на чертежах. Все надписи, загромождающие чертеж, должны быть заменены цифровыми или буквенными обозначениями, а объяснения к ним вынесены в подпись к рисунку.

5. На обороте каждой иллюстрации должны быть проставлены ее порядковый номер и фамилии авторов.

4. Формулы и обозначения должны быть вписаны от руки чернилами, свободно, четко, крупно; следует по возможности избегать субиндексов.

В начертании индексов следует четко отличать штрих и единицу от запятой.

Должно соблюдаться строгое различие между строчными (малыми) и прописными (большими) буквами, имеющими одинаковое начертание и различающимися только своим размером: заглавные буквы подчеркиваются черточкой снизу (например, X).

Необходимо тщательно вписывать похожие одна на другую буквы (g и q, l и e, u и n и др.).

7. Литература приводится в конце статьи общим списком (в рецензиях, публикуемых в разделе "Критика и библиография", литература дается в подстрочных примечаниях) в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]).

Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титульному листу книги (журнала).

8. Редакция обращает внимание авторов на то, что подготовленный к набору машинописный текст статей и рисунки подписываются авторами "в печать" и корректура для просмотра, как правило, не высылается.

9. В статье желательно указать, чем отличается предлагаемый результат от ранее известных.

10. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована одна статья автора или одно краткое сообщение.

11. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать автору один экземпляр.

12. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

გადაეცა წარმოებას 21.7.98, ხელმოწერილია დასაბუქდად 15.7.98.; ქაღალდის  
ზომა 70X108 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 4,9; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,36; ტირაჟი 100; შეკვეთა N 314  
ფასი სახელშეკრულება

საწარმოო-საგამომცემლო  
გაერთიანება "მეცნიერება"  
თბილისი, 380060  
გამრეკელის ქ. 19

yp 3/79 1-50



## CONTENTS

Tsereteli George, Burduli Vakhtang The Ways of Tax Regulation on Contemporary Stage of the Georgia Economic Development . . . . .	47
Abesadze Ramaz Problems Concerning Power Market Formation and its Regulation by the State in Georgia . . . . .	65
Meskhia Jacob Monetary Policy and Problems Related to Restructuring of the Banking System of Georgia . . . . .	72
Burduli Vakhtang, Tsereteli George The Ways of Monetary Regulation of Georgia in Transition Period to Market Economy . . . . .	86
Instruction to Authors . . . . .	105

ტომი 6  
VOL. 6  
TOM 6  
N 3

1998  
76196